


№ 3-67



ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 9

წამალიანი მთა



მთაწარი	მ.
ქუთაისი	მ.
თბილისი	მ.
სამცხე	მ.
საბურთალოს რაიონი	მ.

9775.07.

ფასი 10 ტბა.

მიიღება ხელის მოწერა



სოფელ კვირიულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო შურონალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თნამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ. 6 თვ. 3 თვ. 1 თვ.	ცალკე №
5 მან. 2 მ. 75 კ. 1 მ. 50 კ.	10
4 მან. 2.50 კ. 1 მ. 40 კ.	10

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასახადი.

სოფლის მასწავლებელი, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მორითხოვანთ კოოპერატიული რბე

„ლილი“

მერძევეთა ამხანაგობა „ლილი“ თავისი სამდგომი და ჭიკიცხური რბით ძლიერება კარგი ბაზარი და ახლა აფართოვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთ მიაწოდოს საუკეთესო რბე ბინაზედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რბის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габаевский пер. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

33(05)
5-67

№ 9



24 თებერვალი 1913 წ.

ქართული
ლიბრარიონი

ვისაც 1913 წლ. არ
გამოუწერია ურნალი
„კლდე“, იანვრიდან
ალარ ეგზავნება.



ყოველ კვირეული საზოგადო. ეკონომ.

მიზრი და სალიბრარიონო შუროალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ქურ. კლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ურნალ კლდის და-
კაზმული კომპლექტები 19'2 წლისა. ფასი ქა-
ლაქში. — 1 მან. ქალაქ გარედ—1 მან. და 25 კ.

ყველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით
შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მის-
დით ურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი: რომანოვა დინასტია — ალ ყიფშიძე-
სი. სად უნდა აშენდეს პოლიტექნიკუმი. — დ. კა-
ხელისა. დეკსი. — ი. მჭედლიშვილისა. მიმ-
ქრადი სუფას აღსარება. — დ. კასრადისა. პრესა.
შინა მრეწველობის აგანია ჩვენში. — თევდ. ლლონ-
ტისა. ჰომრუდი. — რ. გ—ესი. სოფლის ცხოვ-
რება. — გ. წინამძღვრიშვილისა. დუშეთის მახ-
რაში. — მგზავრი ლასისა. ჩვენი ფასტა.

რომანოვთა დინასტია

სამასის წლის იუბილეი
(1613—1913 წ.)

I.

ღიდის ამბით და ზეიმით დღესასწაულობს რუ-
სეთი თვისის სამეფო გვარის სამასის წლის იუბი-
ლეს. მამათმთავრად რომანოვების დინასტიისა ით-
ვლება მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი, რომელიც

მეფედ აირჩია 21 თებერვალს 1613 წ. მოსკოვში
შეკრებილმა სათემო კრებამ. ეს ამბავი ელჩებმა აუწ-
ყეს მიხეილ რომანოვს კოსტრომაში, იპატივევის
მონასტერში 14 მარტს, ხოლო 19 მარტს დაიძრა
იგი მოსკოვისაკენ. 11 თიბათვეს მიხეილ თევდო-
რეს ძე მეფედ ეკურთხა და შეუდგა დაძაბუნებულ
და შინაურ-გარეშე მტრისაგან შერყეულ სამეფოს
მართვა-გამგეობას.

პირველი მეფე რომანოვების სახლიდან მიხეილ
თევდორეს ძე—იყო კაცი მშვიდი, წყნარი, ჩუმი,
ღვთის-მოყვარე და მხურვალე მლოცველი. სამეფოს
განაგებდა მამა მიხეილისა პატრიარქი ფილარეტი,
რომელსაც სათემო კრებამ მიანიჭა ტიტული „დი-
დის მეფე-ბატონისა“. სამეფო ქალაქებს მამა-შვი-
ლი აწერდა ხელს.

განკითხვის დრო იყო რუსეთისათვის ის დრო
და ჟამი, როდესაც მიხეილ რომანოვი ავიდა მოს-
კოვის სამეფო ტახტზე. სამეფო ხაზინა, დახლი და
საკუჭნაო ცარიელი იყო, გარედან მოსეული მტე-
რი, პოლონეთი, შვეცია, ყირიმის სახანო და ოს-
მალეთი სწეწდნენ და ჰგლეჯდნენ. სმოლენსკისა და
ჩერნიგოვის გუბერნიები პოლონეთს ეჭირა, თვით
მამა მეფისა ფილარეტი ტყვედ ჰყავდათ პოლონე-
ლებს. ყირიმის ხანები მოსკოვამდის აღიოდნენ ჯა-
რით და იკლებდნენ სახელმწიფოს. შინაური მტერი,
ყაჩაღთა ბრბონი და გათამამებული ყაზახობა მო-
სვენებას არ აძლევდა ქვეყანას. ზარუცკისა და

ლისოვსკის ბრბონი თავისუფლად და თამამად იკლებდნენ რუსეთს და ხელის შემშლელი არავინა ჰყავდათ. ტერიტორია რუსეთისა მცირე იყო. სმოლენსკი და ჩერნიგოვი პოლონეთს ეკუთვნოდა; ტამბოვს, კაზლოვს, პენზას, სიმბირსკს, სარატოვს და სამარას ახლად აშენებდნენ და ამაგრებდნენ აღმოსავლეთისაკენ, რომ როგორმე გაემაგრებინათ ეს კუთხე და ლაგამი ამოედოთ თათრებისთვის. სამხრეთისაკენ ბელგრადსა და კურსკს აშენებდნენ. დღევანდელი ხარკოვი მოსკოვის სამეფოს არ ეკუთვნოდა; იოანე მრისხანის დროს შეძენილ დასავლეთს ციმბირს ძლივ-ძლივობით ჰპატრონობდა მოსკოვი. სულ იმის მოლოდინში და ფიქრში იყვნენ, თუ როგორ შეენარჩუნებინათ ეს თვალგადუწვდენელი ქვეყანა. შინ და გარედ სისუსტეს და უძლურობას ხელს უწყობდა საშინელი უფულობა და თითქმის კოტრობა ხაზინისა. სამეფოს გამგებელთ ისე გაუჭირდათ საქმე უფულობით, რომ მის საშოვნელად ხალხს ურჩევდნენ ბლომად დალიეთ არაყი, რომ ხაზინას შემოსავალი მოემატოსო.

ასე სუსტი და უნიათო იყო მოსკოვის სამეფო მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში.

ნელ-ნელა და ტაატით, მაგრამ შეუპოვრად და სისტემატიურად დაიწყო წინ მსვლელობა მოსკოვის სამეფომ რომანოვების ხელში და დღეს რა პოლიტიკურ და ფინანსიურ ძალას წარმოადგენს რუსეთის იმპერია, ყველასათვის ცხადია და თვალხილული. თუ ამ სამასის წლის წინად მოსკოვის სამეფო მოკაკული და წელში მოხრილი ქედს იდრეკდა ზარტყკისა და ლისოვსკის ბრბოთა წინაშე, თუ პოლონეთს და შვეციას ტკბილად და მორჩილებით ებაასებოდა, თუ ყირიმის ხანებს საჩუქრებს უგზავნიდა და ბრწყინვალე პორტას საღამოს საღამზედა, დღეს მოსკოვის სამეფოდან გამოჩეკილი რუსეთის იმპერია, ბუმბერაზ ვეშაპივით გადაჭიმული ევროპასა და აზიაში, შიშის ზარსა სცემს ოსმალეთსა, შვეცია მიჭუჭყა ყინულიან სკანდინავიის კუთხეში, პოლონეთი ფეხით გათელა, ყირიმი და თათრობა გააქრო და თოვლიანი ამაყი კავკასიონი წელში მოხარა და გულზვიადობა შეუღაბა. რომანოვების ოჯახიდან გამოსულმა პეტრე დიდმა რუსეთი დასავლეთ ევროპის კულტურის გზაზე დააყენა და ასეთს მსვლელობას წინ, სულ წინ და არა უკან, ველარაფერი ძალა ველარ შეაჩერებს, რაც უნდა მავნე ძალებმა იჩინოს ხოლმე თავი გამ-გამობით და დრო გამოშვებით. პროგრესისა და კულტურის გზა შეურყეველია. რომანოვების გვარის სამასის წლის ის-

ტორია ისტორია იგივე ისტორიაა რუსეთის ერისა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ძლიერ და თვალსაჩინო ვრად გადაიქცა. აზიელო-აზიელო ატყვია ერს, მაგრამ ეს აზიელობა წარმოადგინა მალე ჩაილულის წყალს დაღვეს და მალე სრულ ევროპიელ სახეს მიიღებს.

ii.

ჩვენის სამშობლოს, საქართველოს ბედი სკიდროდ დაუკავშირდა რომანოვების სახლის ისტორიას. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში მოსკოვის სამეფომ რომანოვების მეთაურობით სისტემატიურად ძალას და ღონეს რომ იკრეფდა და ვაჟკაცდებოდა, ამავე დროიდან დაწყებული საქართველო სისხლიდან იკლებოდა და პოლიტიკურად სუსტდებოდა. 1616 — 1617 წ. სპარსეთის შაჰი დიდი აბბასი ორჯელ ზედი-ზედ შემოესია აღმოსავლეთს საქართველოს და მტვრად აქცია ჰერეთი (აღბანია). სპარსეთის ტალღა შეეხეთქა აგრედვე მკიდროდ დასახლებულ სომხითს და საბარათაშვილოს (ქციისა, დებედას და მაშეგარის ხეობანი, დღევანდელი ბორჩალო) და უდაბნოდ აქცია ეს ღონიერი და ნივთიერად აყვავებული კუთხე საქართველოსი. ამ ველურმა და ხეპრულმა, წმინდა სადალაქო ოპერაციამ ისე დაასუსტა საქართველო რომ კარგა ხანს გონს ველარ მოვიდნენ ჩვენი წინაპრები. თათართა ახალშენები თვით ტფილისის მიდამოებში გაჩნდა. აქედან იწყება ხანა მოკეთისა და პატრონის ძებნისა საქართველოს გარეშე.

ვინ იცის, ეგები საქართველოს კიდევ აეტანა ეს აუტანელი ჭირი და ვარამი, რომ მეორე უფრო სასტიკი და უფრო საზარელი და ბარბაროსული სადალაქო ოპერაცია არ მოეხდინა მეორე მეზობელს, სახელდობრ ოსმალეთს. აზიის ველ-მინდვრებიდან გამოსულმა მწყემსებმა (ჩობნებმა) დასკეს ბიზანტია და მის ნანგრევებზე მოიკალათეს. ამ გვარად მოგვიჭრეს გზა ევროპისა, ესე იგი დაგვიშრეს წყარო სინათლისა და კულტურისა. ესეც არ გვაკმარეს. იმავე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ოსმალონი შემოესივნენ სამხრეთს საქართველოს და სულ მცირე ხანს ჩამოგვართვეს რკინის პალოდან (ტრაპიზონის აბლოა) დაწყობილი ქვეყნები: ტაო-კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ჩულურეთი, ერუშეთი, ჯავახეთი, მესხეთი, აქარა, ქობულეთი და ლაზისტანი. ოსმალონი მოადგნენ თვით ტაშის-კარს და ბინა დასდეს ახალციხეს, რომელსაც უწოდეს ახისკა. აქე-

დან იგინი ისე აღვილად გადადიოდნენ იმერეთს ბაღდადის გზით (ზეკარა) და შუაგულ ქართლში (ბორჯომის ხეობით, ტაშის-კარი), როგორც ეხლა დავდივართ დაუბრკოლებლივ ერთი სოფლიდან მეორე სოფელში.

გვერდებ ჩამოათლილს, ორგზით უნებურ სადალაქო ოპერაციის შემდეგ სისხლიდან დაკლილს საქართველოს ერთადერთი გზა ლა ჰქონდა თვითარსებობის შესანარჩუნებლად. ეს გზა გახლდათ გზა რუსეთისა, სადაც ამ ხანებში რუსის ერი რომანოვების მეთაურობით, როგორც მოვიხსენიეთ ზევით, ძალ-ლონეს იკრეფდა, პოლიტიკურად მწიფდებოდა და ევროპის კულტურას ხარბად ეწაფებოდა. რაკი პირდაპირი გზა ევროპისაკენ ოსმალებმა ამოგვიქოლეს, მაშასადამე რუსეთის გზა ჩვენთვის ევროპის გზადაც ხდებოდა. ამ გზით უნდა დავწაფებოდით დიდებულ კლასიკთა წყაროს: საბერძნეთისას, რომისას, ბიზანტიისას და შემდეგ დასავლეთ ევროპისას, რომელმაც შესამჩნევად გადაადულა ძველი კლასიკური ცივილიზაცია.

ეკლიანი იყო რუსეთის გზა, თვით მოსკოვის სამეფო სუსტი და უღონო იყო, ასე რომ მძლავრ მფარველობას ვერ გაუწევდა საქართველოს და გვერდებს ვერ გაუმთელებდა, მაგრამ რაკი ისტორიულმა ბედმა მართო ეს გზა გვარგუნა, უნდა გვევლო ამ გზით და აკი დავიწყეთ კიდევ სიარული. პირველი ელჩი გახლდათ ბერი ხარიტონი, რომელიც გაუგზავნა მოსკოვს მეფე თეიმურაზმა. მეფე მიხეილ თევდორეს ძემ 1619 წ. ტკბილად მიიღო ბერი ხარიტონი და აღუთქვა დახმარება. შაჰ-აბბასს ვსთხოვე რომ საქართველოს თავი დაანებოს და ხელი აღარ ახლოსო. ვასილი კორობინი და ოსტაფი კუვშინოვი გაგზავნეს სპარსეთს და მათის პირით მეფე მიხეილი სთხოვდა აბბასს—ნუ აწუხებ მეფე თეიმურაზსა.

რაკი გზა გაიხსნა და გაიკვალა, ელჩები ხშირად მიდი-მოდიოდნენ აქედან მოსკოვს და მოსკოვიდან საქართველოს. ვახტანგ VI სრულებით გადასახლდა რუსეთში და მასთან დიდძალი ქართველობა. ერთის სიტყვით საქართველო სავსებით მოექცა რუსეთის პოლიტიკის ფარგალში და განძრევის თავი აღარა ჰქონდა. ამას მოჰყვა შესანიშნავი 1783 წლის ტრაქტატი და ბოლოს, როდესაც რუსეთი მოლონიერდა და ქერქში აღარ ეტეოდა, გადმოლახა კავკასიონი და შემოვიდა საქართველოში. ეს შემოსვლა დაგვირგვინდა 1801 წლის 1 ენკენის-თვის მანიფესტით, რომლითაც დასრულდა საქარ-

თველოს თავისუფალი პოლიტიკური თვით არსებობა. ათასწლოვანი ბაგრატიონთა დინასტია გაჰქრა და შეიცვალა ახალის, რომანოვთა დინასტიით.

მეორე საუკუნეა, რაც საქართველო ახალ დინასტიის, რომანოვების ხელში იმყოფება. 1801 წლიდან საქართველოს ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის ერის ბედს და ერთად ვეწევით ჰაპანს.

ალ. ყიფშიძე.

სად უხდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი

ბევრი ხვეწნის და მოლოდინის შემდეგ ამიერკავკასიას მთავრობამ ძლივს აღირსა ნებართვა პოლიტეხნიკუმის დაარსებისა ქ. თბილისს. ამიერკავკასიის ქალაქებმა, საზოგადოებათ და კერძო პირებმა ამ დიდი საქმის მოსაწყობად შესწირეს 2.000,000 მანეთამდის და როგორც უკვე ვიცით, მთავრობას განზრახული აქვს, თუ შეგროვილ ფულით პოლიტეხნიკუმი აშენდება თანახმად მის მიერ დამტკიცებულ გეგმისა, შემდეგ ხაზინის ხარჯით შეინახოს იგი.

ამრიგად დღეს-ხვალ ამ საქმის განხორციელებას შეუდგებიან, ე. ი. პოლიტეხნიკუმის შენობის აგებას.

მაგრამ საყურადღებო საკითხი, თუ რა ალაგას უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი თბილისში, ჯერ საბოლოოდ არ გამოჩვენებულა.

თუმცა თბილისის ქალაქის თვით მართველობას თავისი „ნავთლულის პროექტი“ მზათა აქვს, მაგრამ ამ ბოლო დროს გაჩნდნენ მომხრენი ახალ „ვერის პროექტისა“; მეტადრე იმის შემდეგ, როცა ვერის მიწების მესაკუთრეებმა — გაბაშვილებმა, სურვილი განაცხადეს პოლიტეხნიკუმისათვის საჭირო ადგილის უფასოდ დათმობისა.

საკითხი, თუ სად უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი, არ არის მოკლებული მნიშვნელოვან ინტერესს და მკითხველისთვისაც მისი გამოკვლევა არა ნაკლებ საინტერესო იქნება.

თბილისის ქალაქის თვითმართველობამ ამას წინად შესწირა მომავალ პოლიტეხნიკუმს ნავთლულში 200 დესეტინა მიწა და ამ შეწირულებით ყურადღება მიიქცია ნამესტნიკის თანაშემწე სენატორ


ვატაციისა და სამოსწავლო ოლქის შზრუნველ ბ-ნ რუდოლოფისა, რომელთაც ხსენებულ პოლიტეხნიკუმის საქმის განხორციელება აბარიად დღესა. რასაკვირველია, ამ ფაქტმა და იმან რომ უკუნკურენტო „ნავთლულის პროექტი“ ერთად ერთი იყო, შეაჩვია ყველანი იმ აზრს, რომ პოლიტეხნიკუმი აუცილებლად ნავთლულში შენდება.

მით უმეტეს რომ ამ პროექტს გვერდში ედგა ბატონი ა. ხატისოვი და უმრავლესობა ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეებისა.

მაგრამ დღეს, როცა ხსენებულ პროექტს გაუჩნდა მეტაქე — გაბაშვილების შემოწირულების სახით, ვერის მშვენიერ რაიონში, ჩვენის აზრით, „ნავთლულის პროექტი“ ძალა უნებურად იჩრდილება და გვეგონია, საბოლოოდაც უნდა დაუთმოს ადგილი „ვერის პროექტს“?

მართალია, ქალაქის თვითმართველობას მიზნადა ჰქონდა, ამ შეწირვით და პოლიტეხნიკუმის აშენებით სხვათა შორის, ქალაქის მიწების ფასები ნავთლულში აეწია, მაგრამ ამ ფაქტს უარგება მნიშვნელობა იქ, სადაც პირველ რიგში დაყენებული უნდა იყოს თვით პოლიტეხნიკუმის ინტერესები. ამ მხრივ კი „ნავთლულის პროექტი“ ყოველ კრიტიკის გარეშე სდგას და გვიკვირს, როგორ მოისაზრეს განათლებულ ქალაქის მოღვაწეებმა ამნაირ პროექტის შედგენა და „კომერციულ ინტერესებისათვის“ შეწირვა პოლიტეხნიკუმის კეთილ მომავალისა.

დააკვირდით ქვემო მოყვანილ „ნავთლულის პროექტის“ გვეგმას და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ მის უარყოფით მხარეებს.



ადგილი, რომელიც დანიშნულია ამ პროექტით პოლიტეხნიკუმისათვის დაბლობშია მოქცეული და გარს არტყია:

4 დიდი სასაფლაო, რომლის ახლო საზარელი სუნი ტრიალებს; ორი სასალოხო (ძველი და ახალი) რომელნიც, უნდა ვიფიქროთ, იის სუნს არ მოიტანენ თანა; მტკვარის ის ადგილი, სადაც მთელი თბილისის უწმინდურობა გროვდება და მის ნაპირებს აყროლებული ჰაერის გამო კაცი ვერ მიუდგება... დრაგუნთა ვეებერთელა თავლები; ორი დიდი საავადმყოფო — სახადისა და სამხედრო; გვერდზე მომავალი საგაზო ქარხანა. ამათ დაუმატეთ მუდმივი ზენა ქარები, რომელთაც მტკვარის ხეობიდან მოაქვთ მთელი თბილისის მტვერი, ქუჩუკი და ნაგავი და თქვენ უნდა დარწმუნდეთ რომ ქალაქის თვითმართველობამ თავის „შეწირვით“

ნორჩ პოლიტეხნიკუმს დიდი სასაფლაო მოუმზადა.


„საუნევერსიტეტო ახალშენშიაც“ კი რომ გადაიტანონ შენობა, როგორც ქალაქის ზოგიერთი მამები ჰფიქრობენ, ესეც არ იქნება სახეირო პოლიტეხნიკუმისათვის, რადგანაც ბევრს ზემოჩამოთვლილ „სასიამოვნო“ მეზობლობას იგი ძალიან ვერ დაშორდება... მასთან ერთად სასმელ და სარწყავ წყლის გამოყვანა „საუნევერსიტეტო ახალშენის“ მაღლობებზედ ძალიან ძნელდება, რაკი აუარებელი ფული დასჭირდება.

ამ ფაქტების მიხედვით „ნავთლულს პროექტი“ აუცილებლად უკუგდებული უნდა იყოს და ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეებმა თავისი „კომერციული“ ნიჭი უნდა სხვა საქმეებში გამოიყენონ. მით უმეტეს, რომ ახალი „ვერის პროექტი“

სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებით, რომელთაც უყენებს მას პოლიტეხნიკუმის დაარსების პირობები და მისი ნორმალურ ცხოვრების მიმდინარეობა. უპირატესობა „ვერის პროექტისა“ უცილობელია. შეხედეთ აქ მოყვანილ ვერის რაიონის გეგმას და ეს უპირატესობა თვალში გეცემათ.

რუდოლოფი და თვით ქალაქის თვითმართველობა, ვერის პროექტს მიიღებენ მხედველობაში, დაწვრილებით გამოიკვლევენ და შეადარებენ პირობებს და შენობის აგებასაც შეუდგებიან.

ეროვნული
ნიმუშიანობა
დ. კახელი.



მე მსურს სიტურფე!

თავისა ქებით წამართვი უური, აღარ მომეცი სუნთქვა და შვება, თითქო შენ იყო ამ ქვეყნიური უკანასკნელი სიტყვა და მცნება. ეგრეც რომ იყოს, რად მინდა შენი სიტყვიანე და დარბაისლობა! მეც საკმაოდ ვარ ჭკვიანი, ბრძენი— მე მსურს სიტურფე და თანაგრძნობა!

ი. მჭედლიშვილი.

მიმქრალი სულის აღსარება

(ძღვნად სტ. შათე ჭრეჭაშვილის ხსოვნას)

* * *

1. საპოლიტეხნიკუმო ადგილი მაღლობზედაა მოქცეული, მშვენიერ ჰაერიანია და შემორტყმულია ბაღებით. 2. გარშემო სასწავლებლები—ქართული გიმნაზია, კადეტთა კორპუსი, სისულიერო სემინარია და სხვა... 3. თბილისის შუაგულამდის 2—2½ ვერსია (მაშინ როცა ნავთლულამდის 7—8 ვერსია... რა „წაღებმა“ უნდა გაუძლოს სტუდენტობას ამ მანძილზედ სიარულში?) 4. სარწყავი წყალი მტკვრიდამ სულ ადვილი ამოსაყვანია და ადვილად მოხმარდება პოლიტეხნიკუმის მიზნებს. სასმელი წყალი ეხლაც გაყვანილია თითქმის იქამდის, სხვა კომენტარიები „ვერის პროექტს“ აღარ დასჭირდება... უპირატესობა ვერის რაიონისა არამ თუ აშკარაა, არამედ ხსენებული რაიონი საერთოდ ერთად ერთი საუკეთესო ადგილია პოლიტეხნიკუმის ასაშენებლად და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გაბაშვილები სწირავენ მას 200 დესეტინამდე მიწას, საკითხი, თუ სად უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სენატორი ვატაცი. ბ.

...ექიმი ყოველდღე მირჩევს სამშობლოში დაბრუნებას. მეუბნება, ჰაერის გამოცვლა გარგებსო. სულელი! თითქო აქაც იმისთანა ლურჯი კამარა არ ეკრას ამ ბედნიერ ქვეყნიერებას! ფილოსოფოსობს! თავს იგდებს! ავიწყდება, რომ ყოველგვარი ფილოსოფია დაუსაბამო სისულელეა, დაუსრულებელი მაიმუნობა! იმას რომ ჰკითხოთ, იქნებ შეშლილადაც გამომაცხადოს, მაგრამ ნუ დაუჯერებთ, გეთაყვათ. მე ჯერ კიდევ მთლად არ დამიკარგია გონება. შერყეული რომ ვიყო, განა ასე დალაგებით გელაპარაკებოდით? მაშ ძირს ფილოსოფია! ძირს მაიმუნობა! გაუმარჯოს სინამდვილეს, რომელიც ცხოვრებას სწორედ იმ სახით გაჩვენებთ, რასაც ის მთელს სიგრძე-სიგანით წარმოადგენს!.. მეც სწორედ ამ სინამდვილის შესახებ მსურს ვსთქვა ჩემი აღსარება, გამოვაქვეყნო მისი რთული პროგრამა, რომლის უმთავრეს მუხლს შეადგენს სისხლი, ავაზაკობა, გაიძვერობა... ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც მხოლოდ ადამიანის საკუთრებასა და ღირსე-

ბას წარმოადგენს. მაგრამ ახლავე გატყობთ, რომ ზიზღს იწვევს თქვენში ჩემი სიტყვების ეოსმენა. კარგი, მე ვსდუმდები. ჩამაცქერდით სევდის ქსელით მიბინდებულ თვალებში! ჩამაცქერდით, დააკვირდით ამ ორი ტბის უსიცოცხლოდ სივრცეში ყურებას, უკედ—მიშტერებას. თქვენ დაინახავთ დაუნახავს, თქვენ შეისმენთ შეუსმენელსა, თუნდა იმ ქარიშხლის უსწორ-მასწორო ორკესტრის ხმებს, რომელმაც აწ გაუდაბნობებულს ჩემს გულში გაიარა, ააფორიაქა ყოველისფერი, მომტაცა გრძნობა, მომტაცა ყოველივე ის, რაც ჩემს მასიცოცხლებელ თამასუქს შეადგენდა და ქაოსის ზვირთებში გადასტყორცნა. ჰო და, მითხარით როგორია ეს მელლოდია? ხომ გესმით კარგად? ხომ მიხვდით, რომ ჩემი უსიტყვო მეტყველება უფრო შესაზარი ყოფილა, ვიდრე სიტყვები; სიტყვები, ეს ჩვენი რეალობის დამხატველი ტლანქი ქვაკუთხედი! მისაყვედურებთ, თუ რატომ გაჩერებთ ასეთს საგანზე საშინელებაა, განა? მჯერა! მაგრამ რა ვქნა, რომ მეც თქვენსავით უძლური ვარ, არ შემიძლიან ამგვარ პროგრამის ჭახრაკის უკულმა გადატრიალება! ერთით საკვირველია, რომ ეს საშინელებად გვეჩვენება, ვინაიდან მის შედგენაში ყველანი ერთად ვიღებდით მონაწილეობას: მეც და თქვენც, თქვენც და მეც, ერთი ძალით ვმუშაობდით, ერთად ვადგენდით ცხოვრების ახალ-ახალ სადეკორაციო პროექტებს, რომ ჩვენი ყოფნის უშინაარსობისათვის რაიმე შინაარსი მიგვეცა, წარმტაცი ფერადებით თვითვე მოგვეტყუებინა ჩვენ-ჩვენი თავი და ოლიგარხიულ ღრიან ცელში ჩაგვეკლა ჩვენი შინაგანი შემეცნების მხილება, რომ მიუხედავად ასეთი გვირგვინოსნობისა, ჩვენც ისეთივე ქმნილებანი ვართ, როგორც უკანასკნელი მიწის მდილი. ეს ვიცი მე, იცით თქვენც, იმათაც, ქალმაც და კაცმაც, ერმაც და ბერმაც, თვით ღმერთმაც!...

ღმერთმაც?

ჰო, ღმერთმაც, ვინაიდან ღმერთი უდიდებულესი არარაობის ცნებათა-ცნებაა, ეს ის ღმერთია, რომლის წინაშე წარდგომა და სახის მეტყველების დანახვა უხსოვარ დროიდან საშინელი კატასტროფით თავდებოდა ხოლმე. ჩვენ კი ჩვეულებრივ გერმის ყურთუკზე მიგვიდვია თავი და მომხიბვლელ ზღაპრის სახით ვუსმენთ ჯადოსნურ წყლის აუზიდან ამოხეთქილ საშინელების შადრევნების ღრიალ-ჩხრიალსა! თქვენ კი არ ვიცი, მაგრამ ჩემს თავში აი ეხლაც, ამ ჟამად, ამ აღსარების მოთხრობის დროს, ეს შადრევნები არ მაძლევენ

მოსვენებას, მინდა ვიკივლო, მაგრამ ხმა არ მემორჩილება, თვალები მსურს დავხუკო, რომ მის საშინელს გამომეტყველებას არ დავენახვო, მაგრამ გუგათა სარქველი თავის თავად მენდობა, თვალები მიშტერდება და ძალა-უნებურად ვუმზერ მის საზარელ ხარხარს და სივრცეში ცეკვას.

ოჰ, ღმერთო, როდის გამანთავისუფლებ ამ სახანაობისაგან?!

ტვინი მერევა, ტვინი მელნის ყინულად გარდაქმნა და შავს ტალახის წვეთებად ენთხევა ამ პატარა კალამის წვერით. მაგრამ ნუ გეშინიანთ, არ გეგონათ, იმდენი ძალ-ლონის მოკრება შემეძლოს, რომ ასე ადვილად შევძლო მთელი საშინელების ენციკლოპედიის ფურცლების გამოფენა და თქვენ წინ გაშლა ფიანდაზად! მე მხოლოდ მის აჩრდილის ზეწარს გიშლით წინ... ჰო და მაშ სმენა, ბატონებო, სმენა! ყური დაუგდეთ, რას გეტყვით ავადმყოფი სული... მაგრამ რათა ავადმყოფი? არა, არ შეკრთეთ... ეს სულ ისევ იმ წყეული ექიმის ბრალია, იმან ისე შემაშინა რომ... წარმოიდგინეთ, ჩემი თავი ავადმყოფი მგონია, როცა ასე ფიქრებს გავყვები ხოლმე. სულელნი, ათასჯერ სულელნი! თქვენ, იცით რა, მოდით, ისევ გამომყეთ და ჩემთან ერთად გადავხედოთ ამ გადაშლილ უფსკრულს, რომლის სახება მხოლოდ გულ-უბრყვილთათვის დახშულია და დაფარული:

ოჰ, ნეტარება მათ!—

* * *

...როდის ვიხილე ამ საშინელების სურათოვნება, სრულიად აღარ მახსოვს. ეს კი ვიცი, რომ ყველა ეს მას შემდეგ დამემართა, რაც რომ დედაჩემს, ჩემს უბედურს დედიკოს გიმნაზიის რვა კლასი გაფუთავე, ერთი სიტყვით, როდესაც მე... გავსტუდენტდი... როდესაც დედაჩემს, ჩემს საყვარელს დედას ბჭყვრიალა ღილებიან ტუყურკით დავენახვე და გიმნაზიის ფორმა მის სამზითვო ზანდუკში მივატოვე დაბლა სარდაფში, ხოლო წიგნების ფურცლებზე კი ჩემს მეგობრებთან ერთად აუტო-და-ფე ვიდღესასწაულე...

საწყალი დედა! რა აღფრთოვანებით მომეხვია, რა რიგ მკოცნიდა, რა მომხიბვლელ ზღაპრით აყვავილებდა ჩემს მომავალ ცხოვრების ზამბახსა!

იმ ღამეს არც მე დამიძინია და არც იმას: მე გულაღმა ვიწეკი, თვალებ მილულული ოცნების სამეფოში დავფრინავდი, ხოლო დედა თავით მომჯდომოდა, ცრემლით კულულებს მისველებდა და

ათას დარიგებას ჩამჩუქ ჩულებდა, რომ მტერი არ გამეხარებინა, სახელოვან მამის სახელოვანი შვილი ვყოფილიყავ, რომლის აჩრდალი, მისი სიტყვით, თვით საფლავიდანაც ლოცვა-კურთხევას მიგზავნიდა.

ოჰ, ღმერთო, რა საამო იყო ეს წუთები!

მეც განაბული ვისწენდი მის ჩურჩულს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მის შინაარსს ჩავწდომოდი, არა! ჩემმა აღლომ იგი დიდი ხანია რაც უწყოდა, არამედ, იმიტომ რომ სიყვარული დამემტკიცებინა მშობელდედისთვის, ნამდვილად კი ჩემი ოცნების ანგარიშებს ვისწორებდი. თუ ახლა რა გზას დავდგომოდი.

რა უნდა გამოვიდე? რით შემიძლიან სამსახური გაუწიო ჩემს სამშობლოს? რითი? ჰო, რითი?

— რითი? განა მოკლეა ასპარეზი? — თვითვე ვაძლევდი ჩემს თავს პასუხს: მე ვიქნები მისი დარაჯი, მისი სასიქადულო რუსსო!.. ჰიუგო!.. შექსპირი!.. გიოტე — შილლერი!..

აჰ, ნეტარო დროვ, რარიგ უკვალოდ ჩამეფერფლე!

ჩამე ინა.

— ყოველისფერი, ან არაფერი! — გავიძახიდი დაჩინებითა.

იმ დროს, მართლაც, ჩემს საყვარელს ბრანდს თავის მნიშვნელობა არ დაეკარგნა და მის თვითეულს სიტყვას ჩემს ცხოვრების ქვაკუთხედად ვისახავდი.

— ყოველისფერი, ან არაფერი! — უფრო დასაბუთებული გარდაწყვეტით ვიტყოდი და სამშობლოს საოცნებო ამურის ფრთებით ნაზად ვუშლიდი ჩემს გულის ვარდსა. „ნუ გეშინიან, ჩემო სამშობლო, ნუ, ნუ! სადაც აქნობამდინ მოიცადე, ეხლაც მოითმინე ცოტაც... სულ ცოტაც... არ მოკვდე, გეთაყვა, არა! რა დროს სიკვდილია! სიკვდილი სიკვდილსაც უზიდნია, იმას რა ხელი აქვს შენთან! აი, მიყურე, გენაცვალე, როგორ შეუცვალე ყველაფერი! მე ვიქნები შენი წინასწარმეტყველი, შენი მებუკე, მე მოგწმენდ ცრემლებს, მხოლო მე... მე... ოლონდ მაცალე ცოტა... სულ ცოტა! აი, წავალ... აგერ ავმართე ჩემი სამგზავრო, ხომალდის აფრა... სულ მალე გავათავებ და როს დავბრუნდები... მაშინ... მაშინ... თუ კვლავ დამხვდები ბორკილებში, ამ ღვთის საგმობს საპყრობილეში, სამსონ ძლიერად გარდავიქნები, ან გედეონად, რომ უსჯულოთ ვუტურო დედა. და თუ ვიძლიე, მაშინ... მაშინ... არა, ნუ გეგონება, ჰანნიბალსავით

საწამლავი ვატარო შუშით! არასოდეს! ტყვე, მყის აჩრდილის ზეწარს მოვიხვევ, შემოვიპარები შენს დახშულს საკანის თაღებ ქვეშ, მოგძებნი ძვირფასო, ფერხი ქვეშ გაგემლები და შენს გულზე მოყრდნობილი, გაგართობ ამირანის ზღაპრით. შენს საყვარელ ამირანის შესახებ დარჩენილი თქმულება: აი ამ თქმულებას, ვფიცავ ღვთის-მშობლის მიერ დალოცვილს შენს დღეგრემლობასა, — სულ სხვა ჰანგით დაგისახავ შენა სულ სხვა იმედის ქსელში გაგხვევ, გაგათბობ სხივით და ტანჯვის საზღვრებს ისე მოგტაცებ და გაგაშორებ, როგორც უმანკო ბავშვთა ნარნარი ხმით ნაგალობევი „რომელი ქერუბიმთა“ წარიტაცებს მორწმუნისა სულს ამ ქვეყნიდანა!..

მერე? როგორ გგონიათ, ავასრულებდი ამ აღთქმებსა თუ არა? როგორ არა, როგორ არა! შეუძლებელი რა არის აღფრთოვანებული ჭაბუკის ოცნებისათვის? წარმოიდგინეთ, მე მოლოდინსაც გადავაქარბე. ჩემი ოცნების პერსპექტივებმა დიდებული სანახაობა გადამიშალეს თვალ წინა: მე თითქოს კიდევაც მომეგლო ქვეყნიერება. ჩემი ხომალდი დავტვირთე ყველა იმითი, რაც კი მეცნიერების უკანასკნელს სიტყვას შეექმნა და აჰა, რა ფრთა გავშალე, ჩენს უცხო მერანს ზურგს მოვაჯექ დედში პირდაპირ სამშობლოსაკენ დავიჭირე. აი, ცისკიდურზე გამოჩნდა კუშტად მოწყვეტილი ქულა ღრუბელი, მიცრეცილს სახეზე ეტყობა დაღლილობა, მაგრამ მაინც მხიარულია. კუდრაქა, აღლოთი ვიცან: ელჩი გახლდათ, სამშობლოს ელჩი და იმიტომაც მიცინოდა.

— სალამი შენდა! სალამი, ჩემო სამშობლოს სწრაფლმსრბოლელო, მოვედ ჩემთან, მოვედ მაგრად გულს ჩამეკარი! მიაბე, რასა იქს დედაჩემი? მელის? გაიგო, რომ მოვდივარ? სარეცელზეა? ხომ არ შეუწყდა მაჯისა ცემა? არა, ხომ? გმადლობ, ოჰ, გმადლობ ამ პირველი ცნობებისათვის! სხვა, მისი კერა რაღასა იქს? კიდევ ბეუტავს? მაგრამ სითბოს ხომ მაინც გვაძლევს? ტაძარი? ხომ არ დაინგრა? არა? მაგრამ ტუჩებზე თრთოლვა დაგთამაშებს, აშკარად ვხედავ, რომ გსურს გადმომცე: „ის შეაგინეს... გატიალდა... ქართ-ლა შთენიათ დასარღვევად...“ ოჰ, ღმერთო, ნუ თუ!?. მაგრამ ჩემს დროსაც ასე იყო... სხვა?... კიდევ რაღაა საშინელი, შესახარავი?..

ისიც მომითხრობს ყოველისფერზე. შემდეგ მახლობლებს მოვიკითხავ:

— მარქვი, გეთაყვა, ჩემს დედიკოს სჯერა ჩე-

მი სამშობლოში დაბრუნება? მერე ისიც ასე მალე! ჩემთვის კი მთელი საუკუნე იყო ეს დაგვიანება.. ჰოდა რასა იქს? ან ის... ის... ის ჩემი ეთერი რა-ღას ამბობს?

ჩამეცინა:

— მაკადოს, ეხლა რომ ვილაცა ბავშვი უსუსური შეუყვარებია! სტყუის, თავს იტყუებს თავსა, ღმერთმანი, თორემ იმ უსუსურზედ როგორ გამცელიდა? ან იქნებ უნდა მიხვეწიოს? ასეა? ჰოო? ჰა-ჰა-ჰა! ვერ მივართვი! განა არ ვიცი, რომ შემდეგში თვითონ მოვა და შემეხვეწება, მაგრამ ტიტინას იმით გადავუბდი სამაგიეროს, რომ პირველ შენანების ცრემლზევე გადავებვევი და ვაკოცებ. გამეცინება, გაიცინებს, ჩვენი სიცილით ია-ვარდნი ცეკვას მოჰყვებიან და ხითხითით ტაშს დაგვიკრავენ!.

სიამოვნების ჟრუანტელი სულს მიფრთოვანებს! აი გავშალეთ იალქნები. ჭახრაკის თვითეული გადაწევა აუწერელის სისწრაფით მაახლოვებს ჩემს სამშობლო კონცხსა! აგერა ესეც! ღმერთო ჩემო, რა-ამბავია! კონცხი მოურთავთ ყვავილებით, ფერადი ბაირაღები გაუფენიათ მთელს კვარცხლბეკზე! აგერა, ხალხიც გადმომდგარა და ათასი ხელი ხელსახოცს მიქნევს... სალამს მიძღვნიან!

სალამი თქვენდა, ოჰ, სალამი, ჩემო ძვირფასნო!

სიტყვები ნეტარების ქარმა წამართვა და მაისის ვარდთა და იათა სურნელოვნებით მყის მიმოჰფინა ჩემს საყვარელ სამშობლოს გულზე!

აგერ გადმოვხტი... მსწრაფლ დავემხე მის ტერფთა წინაშე და ამბორ ვუყავ მშობელ მიწას ცრემლების ფრქვევით!

ახ, ნეტარო ზმანების ჩრდილო, რატომ არ გინდა ერთხელ მაინც მოხვიდე კიდევ და შენს მანდილს ქვეშ დამავიწყო ჩემი წამება!..

მაგრამ ის წუთი სულ სხვა იყო. აგერ გავშალე არწივისავით მე მძლავრი ფრთები, სამშობლოს გულში დავტრიალებ. დავიწყე სწრაფი მოქმედება. ევროპის ცათამდე აყვანილი კულტურის ცეცხლი ხელად აღვაგზნე მქრალს კერაში. შესანიშნავი კლასიკნი, ფილოსოფოსნი, მეცნიერნი—ფერხთა წინაშე გავუშალე ჩემს თანამემამულეთ, როგორც საუკეთესო ძღვენი, რომელიც სამშობლოს კეთილ დღეობის საკურთხეველზე დასადგმელად მეკრიბნა უცხოეთის ტურფა წალკოტში. აი, ჩემი ფრიად შესანიშნავი ყოველდღიური გაზეთი „ალორძინება“! იცოდეთ, რომ ეს სიმბოლიური სახელი ტყუილად არ დავარქვი: ამის საშუალებით მსურს სულით და გულით

ვემსახურო სამშობლოს ალორძინებას! დღეიდან იწყება ახალი ერა, ახალი ცხოვრება, ახალი სიკოცხლის ციაგობა! განა არ გესმით, თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რარიგ გაისმის ქვემოქვემოტოლოს კურთხეული სახელი? აბა მოდი, მის წაღწევაში ერთ ახალი ქვეყანა! ნახეთ, გაიგეთ, რას გეუბნებათ ახალი ცნობადის კიდობანი! მის ახალ მცნებათა დაფებზე წაიკითხავთ უახლეს სიტყვას, რომლითაც უძღურნი აღსდგებიან, მკვდარნი იწყებენ კვლავ ცხოვრებასა, მთელს ქვეყნიერებაზე გაჰხდება ხმა და ძახილი სიკოცხლისა სიკოცხლისადმი! აჰ, ამ პატარა საქართველოს გულ-მკერდზე დაიდგმება ახალი მეცნიერების საკურთხეველი, დაზგად ჩამოვდგავთ თვით ლაევარდ ცისა კამარას. ავალაპარაკებთ დღემდე დაღუმებულს უძრავს სატურნს, ახალ-ახალ ციაგთა აღმოჩენას ხომ საზღვარი არა აქვს! ახლა ფილოსოფია! ახლა ეკონომია, ანუ ბუნების მეტყველება, ბიოლოგია, ემბრიოლოგია... რას წარმოადგენენ არისტოტელნი, პლატონნი, ნიუტონ-დეკარტნი, კანტნი თუ კონტნი, სპენსერ-გოლბარხნი, ვინ არის დარვინი, ჰეკელი, ანუ კარლ-ფოხტი ჩამთან შედარებით? არაფერი! ეხლა მათი სახელი ლეგიონია, ისინი ფარაში აირივნენ, მაშინ როდესაც მე... მე გავხდი ახალი მესსია, ახალი ღმერთ-კაცი, ყოვლად შემძლებელი აღონაისი!.. ოჰ, ნუ კი ეჭვობთ, ნუ იცინით, ნუ გკონიათ, რომ ეს მხოლოდ ბოდვაა, ბოდვა მეოცნებე ანუ შეშლილი ადამიანისა! სრულიადაც არა! მაშინ სრულიად სამართლიანად ვიყავი დარწმუნებული, რჩეულთა რჩეულ მესვეურთა გუნდის ბაირახტარი უნდა ვყოფილიყავ, ღრმად მწამდა ჩემი თავის უაღრესი დანიშნულება და იმ დიადის რწმენით ვსულდგმულობდი, რომ აღვიგზნებოდი ლამპარად და ყველას შთაუნერგავდი მეცნიერებისადმი დიად წყურვილს, ნაოელსა ვყოფდი ჩემს უაღრესს დებულებას, რომ თვითეული ჩვენგანი მეცნიერებას ფეხდა-ფეხ უნდა მისდევდეს ჯარის კაცსავით, რომ დღევანდელი ჩვენი ერი კვლავ ალორძინების გზას დაადგეს და ყოველ მხრით დამწიფებული იქმნეს ბორკილების დასალეწავადა მეთქი! დიახ, მწამდა, რომ მეცნიერების მშვიდობიანი გამარჯვება სამშობლო ენაზე უფრო მეტს სარგებლობას მოგვიტანდა, ვიდრე შამქორის ველზე თამარ დედოფლის ბრწყინვალე გამარჯვება, ანუ ასპინძის გმირის დიდი ერეკლეს ხმალი და ჯვარი, მაგრამ..!

ოჰ, მაგრამ..!

წყეულიმც იყოს იგი!

მაგრამ... აი, ეხლაც არ მესმის, როგორ და რანაირად დაინგრა ეს ჩემი ოცნების კოშკი! ვიცი მხოლოდ, რომ ეს მოხდა მაშინ, როდესაც სტუდენტი... ვსტუდენტობდი! ხა-ხა-ხა! როდესაც უნივერსიტეტის საშუალებით თითქმის შეუმჩნეველად გადავსდგი პირველი და უკანასკნელი ნაბიჯი ცხოვრების ლაბირინტში! ვიცი რომ ეს პირველი ნაბიჯი დედაჩემის ლოცვით გადიდგა, მაგრამ ის კი, თუ რატომ მოხდა, რომ ამავე დროს წყვეულს ირონიას საშინელი ხარხარი გაჰქონდა ჩემს გარშემო, სრულებით არ მესმის... არ მესმის, არა... ვერ გამოვიგია... იყო აქ დედა დამნაშავე? და იმას ხომ იმაზე მეტი ცოდვა არ მიუძღოდა ჩემს წინაშე, რომ ქვეყნიერებას აჩუქა ჩემი თავი!

აჰ, წყველო დღევ!

მაშინ, ჰო, მაშინ დავინახე ამ საშინელი მორიელის შხამიანი კუდიც... საშინელების უფსკრულები... და ეს, სულ ამ პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე..!

ოჰ, ღმერთო, რა იქნებოდა, რომ ეს ნაბიჯი სრულებითაც არ გადამედგა?

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება.)

მ რ ე ს ა

ჩვენმა წერილმა ქართველ სოციალ-დემოკრატიის კრიზისის შესახებ გაწიწმამებული პასუხი გამოიწვია „მერცხლის“ ფურცლებზედ:

„სოციალ-დემოკრატიის კრიზისზედ განუწყვეტელი ლაპარაკი—ეს ჩვეულებრივი წესია ყველა ქვეყნის ბურჟუაზიულ და რეაქციონურ მწერლებისა და ქართველ თავად-აზნაურობის ორგანოს თანამშრომელმაც რომ მაზედ ილაპარაკოს და სწეროს—აქ გასაკვირველი არაფერია“.

თუმცა „მერცხალი“ ამ უფლებას გვანიჭებს, მაგრამ გაკვირვებით კი ისე უკვირს, რომ უბრალო პასუხის გაცემაც გაუძნელდა და ქორიკანა დედაკაცისავე ნიშნს გვიგებს:

„ჩვენ კი ვფიქრობთ: უნაყოფო და საბოლოოდ განწირულია ის წოდება, რომლის დამცველად და იდეოლოგიად გამოდის ჟურნალი „კლდე“. და უმჯობესი იქნება მისმა სულის ჩამდგმელებმა ამ წოდების უმწეო მდგომარეობაზედ იფიქრონ, ვინემ ს.-დემოკრატიის კრიზისზე.“

ამას ჰქვია „კეთილი სიტყვის გება“!

რა შუაშია აქ წოდება და ისიც თავად-აზნაურული, ამაზედ „მერცხალს“ არაფერი არ დაუჭიკჭიკებია. თუ ღმერთმა არარაისგან ქვეყანა გააჩინა,

სხვის წერილიდან საკუთარი ქორის შექმნაც შეიძლება. ასეთი „სამღვთო სჯული“ სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტებმა ალბად ზედ-მიწევნით ოციან და ჩვენი წერილიდან მათაც ის შეიძლება შექმნეს, რომ „კლდე“ ზუბრების ორგანოა. ზუბრი, პურიშკევიჩი, შოვინისტი — სოციალ-დემოკრატებისათვის ისეთივე გასართობია, როგორც კატისთვის გორგალი და ვნახოთ როდემდის აგორავებენ ამ გორგალს.

შინა მრეწველობის აგონია ჩვენში

II.

როგორც აღვხუსხეთ, უკვლავ საწარმოო ძარალები უკვლავ სდა და ზრიმიტიულია. მხალად დგიმსა და სავარცხელს შეიძლება მიაშეროს უცნობა უკრადლება, მაგრამ ისინიც თანამედროვე ტექნიკის მიხედვით ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებენ. მწარმოებელი კი შეტის სიფრთხილით ექტევიან. წინად სავარცხელს, როცა შინა მრეწველობა მთელ მიდამოში მოდებულ იყო, სავანგებოდ ამზადებდნენ დახედავებულ ოსტატები და ბაზარში გამაჰქანდათ გასასეიდად. ამ ყამად არც ერთი შინა მრეწველობის იარაღი ბაზარში აღარ იშვებდა და მხალად ის იარაღებია უკანასკნელი იშვები და ნაშთი, რომელიც შენახული აქვთ მწარმოებელთ. სამწუხარო ისაა, რომ ეს იარაღებიც დაზიანებულია დროთა ბრუნვის გამო...

ამ დონეზეა დღეს შინა მრეწველობა ჩვენში. უკვლავ წარმოებს აქვს თავისი მიზანი და დანიშნულება, რაც ერთიანად დამყარებულია ნიუთიურ სარკებლიანობაზე. როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლად აქა-იქ ეწევიან სამრეწველო მრომას, ეს გარემოება პირველ უფლისა იმ სინამდვილეს გვიხსნის, რომ მწარმოებლისათვის აკეთი შრომა—წარმოება რამდენადმე სარკებლიანია ან, რაც იგივეა—იმას, რომ სხვა საქმეები არაა, რაშიც იქნას ძალა გამოყენებული. ამა ვნახოთ რამდენად სანარკებლო და სარეიანი უოფილა ეს მრეწველობა, რამდენად გაშლილი აქვს ასპარუზი თანამედროვე მრეწველთა შრომისათვის.

რომ უოველი ძალა შინა მრეწველობისა გაშუქებული და გამარკვეული იყოს, ავიდოთ ტიპიური ნაყოფი შინა მრეწველობისა: აბრეშუმი. მაგალითად სახალუხედ იქსოვება აბრეშუმის ძაფიდან დარაია, რომლის სიგანე უდრის 1/2—3/4 ალაბს, ხალა სიგრძით დახლდოვიით სავარა ათი ალაბი. როგორც ჩვენი მუშა-ქალი მოგვითხრობს ამ შრომის მასალის შექმნაზე მწარმოებელი ხარჯავს:

- 1) აბრეშუმის ძაფის ახვევაზე . . . 5 დღეს
- 2) ახვეული ძაფის დასტვაზე . . . 8 "
- 3) დაგობა, დაქსელვა & კახობა 4 "
- 4) დგიშში და სავარცხელში გაურა. 2 "
- 5) ქსოვა შესრულება 9 "

ს უ ლ 28 დღეს.

ამ რიგად, ერთი დედაკაცი სრულ ოცდარვა დღეს შრომობს, რომ საბოლოოდ დაამზადოს ერთი სახალუხე მასალა!

— მერე როგორ ჰყიდიოთ საშუალოდ ამ საქონელს?
— შევეკითხოთ მწარმოებელს.

— საშუალოდ ექვსი მანეთი ღირს ეს საქონელი, ხან მეტი, ხან ნაკლები. მაგრამ იმას ვი ამკარად ვგონობ რომ შრომის ფასად აღარაფერი მრჩებაო. ჯერ თვით აბრეშუმის ძაფი ჯდება 3-3 მან. 10 კაშ. ასე რომ დედაკაცს შრომის ხელფასი უწევს 2-50კ. — 3 მანეთამდე, ესე იგი დიდის ცისკრიდან დაწვებული, ვიდრე საღამოს ბინდი მოკეთებოდეს სოფელს, ქალი იღებს რვას თუ ათ კაშეიკს. და ამ ფულით შესაძლებელია განათავის რჩენა დღევანდელ ცხოვრების პირობებში?!...

მძიმე, მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე პირველმა მწარმოებელმა დედაკაცმა. ვეკლავებოდა ამკარად სხანდა, რომ ჩვენი ცხოვრების ძველ საწარმოო პირობებს ახალი ვითარება მისდგომია კარზე და ერთიანად გაურთუავს იგი; ხალხის ნივთიერ კეთილდღეობის ერთი დიდი ძალა დაუზღვრავს და მოუსწამს.

მწარე სინამდვილემ კიდევ უფრო დაგმაინტერესა. ჩვენ ვითუქრებთ: ეგებ სხვა კუთხის დედაკაცების შრომა უკეთეს პირობებში და გავეძართუა გზას. მტირე დრო დაგვჭირდა, რომ ხათლის-მცემელის ეკლესიის მიყვანდებოდით, ეკლესიის არე-მარე ერთგვარი ცენტრი იყო, სადაც მოხუცი დედა-კაცები, უმთავრესად მოღვაწეები, თავიანთ დეებს ქსოვა და ართვა-ახვევაში ატარებენ.

დაგვისახელეს ქ-ნი „კაჭულია“. ეს იყო დრმად მოხუცებული ადამიანი, თუმცა ჯერ კიდევ უჩინლად გამოიურებოდა. საზოგადოთ, ჩვენ დიდად გვაინტერესებდა აგრეთვე შინა მრეწველობის ძალების წლავანობაც, რადგანაც ეს კარგობა მეტის მეტად მნიშვნელოვანია აქა. განა არ ვიციოთ, რომ ახალგაზრდები მუდამ მეტს სოხვენ ცხოვრებას და მეტ სარგებლიანობას ეწაფებიან? ხნოვანობის გამორკვევა ვი ამკარად კახდიდა იმას, თუ რამდენად სასარგებლო და ძლიერი ფაქტორი უოფილასა ხალხის ცხოვრებაში. ამიტომ ვეკლას უპირველესად ვეკითხებოდით:

რამდენი წლისა იქნებით დედა?

ორი უმაწვილი მახლდა ამ ადამიანის მცნობი. დედაკაცმა ამაებს ახედ-დახედა და ჩურჩულით გვიპასუხა: ორმოცდა ხუთი წლის ვიქნებიო. მასუხმა შეუკავებელი სიცილი გამოაწვია ჩემს მხლებლებში, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ ის ოთხმოცი წლის მაინც იქნებოდა.

შინა მრეწველობის სურათი ვი ისეთივე გადაგვიშალა, როგორც პირველთან. უკვე საგძნობელი იყო, რომ

მოელ მიდამოში საქმე ერთიანად იყო დაუძლეველი. ერთიანად მოვლენას და მიზეზს ერთნაირი მიზეზი გამოუწვევია. ვეკლანი შინა მრეწველობის ავობის ჩივიან და წუწუნებენ: შემოსავლის ერთი წყარო დაგვიკლავია.

იქვე ახლავს შეგვხვდა აგრეთვე ქალთა მრეწველობა — მატა წილასხანისა, არა ნაკლები 25 წ. ვეკლავებოდა ეტუობოდა რამ მეორე სამეფოს მალე ეწვეოდა. მის მანია ქობს უკვე აკლდა მწარეულ-მატრონის ხელი. ვეკლავებოდა არეულ-ღარეული იყო. ქობის შუა აღავს დაგვხვდა გამართული საქსოვი იარაღები, რომელზედაც მუშაობას განაგრძობდა. ბავის შიში ეკლას დიდად აწუხებდა. საბრალონი! ის ვი აღარ იციან, რომ საბავა მათ აღარაფერი დარჩენია. დაიმედებულმა, რომ ბავზე შიში უფლად უსაფუძლოა, მოხუცმა გადმოაღვია თავის „სიფუთიდან“ მრავალი სხვა და სხვა ნაწარმოები, უმთავრესად აბრეშუმისა. ეტუობოდა, რომ მწარმოებელ მატას საბაზროდ დაემზადებინა საქონელი, მაგრამ ვეღარ გაუუიღნია. ეს შესვედრა რამდენადმე საურადღებო აღმოჩნდა. საქონელი არ იყო დასათიანად შესრულებული, მაგრამ საგულისხმო ის საუბარი იყო, საიდანაც შევიტყუეთ თუ როგორი მკერძალებითა და აღფრთოვანებით მიურთმევია მოხუცებულ ქალს თავისი ხაშრომი — საკაბე დარაია დახსნუთის სადგურზე მარამ დედაფლისათვის, რომლისკანაც საჩუქრად მიუღო ოთხმოცი მანეთი ხალდი ფული და იმედები სამეკრძინოდ. მართალია, ეს ქალი დღესაც არაფერს იღებს ხაზინიდან, მაგრამ იმედა მაინც არ დაჰკარგვია — „მენდალს მაინც მივიღებო“. და ამ იმედებს ბებერს კიდევ უფრო ის კარემაკია უნერგავს, რომ მწარმოებელს 1909 წელს მიწად-მოქმედების და მიწად-მომწეობ მთავარ სამართველოდან მიუღია ქების ქაღალდი „ПОХВАЛЬНЫЙ ЛИСТЪ“. აღბად იმიტომ, რომ მწარმოებელი წახალისონ. ფაქტი საგულისხმიურთა იმით, რომ ზედმიწევნით ახსიათებს იმ ზომებს მთავრობისას, რომლითაც ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობის აღდგენას სცდილობს...

თითქმის ვეკლას მწარმოებელი დავიარეთ იმ დღეებში, მაგრამ ვეკლავს ახლოვანი სურათი გადაგვიშალა. მხალად დრმა მოხუცებული ეწეოდნენ შინა მრეწველობას, და მიუხედავად იმისა რომ მათი შრომის ხელ-ფასი უკეთ პირობებშიაც დაბალი იქნებოდა — ძლიერა წუწუნებდნენ: უმატრონებს თავი ვერ შეგვიანხავს დღე-ღამიანი შრომითაო.

შეგვხვდით აგრეთვე ქუდის მქსოველებს. „ჭილობის ქუდი“ იქსოვება ჭილოს ღერობითან. ერთს საშუალო ზომის ქუდს სჭირდება დაახლოებით ოცდაათი ალაბი დაწნელი ჭილო. ერთს ასეთ საშუალო „ჭილობის“ დაამზადებას მშრომელი ანდომებს დაახლოებით:

- 1) წმელას დაქსოვა — 1 დღეს
- 2) შეკერვას — . . . 1/4 "
- 3) სეკერავი ძაფი — 2 კაშ.

ბახარში ასეთი ქუდი ივიდება საშუალოდ 12 კაშ., ე. ი. დედაკაცის 1 1/4 დღის შრომა ფასობს ჭეკვის ღერობის მკერძეობას, მატანას და ძაფს თუ მივიღებთ მხედველობაში) სულ 8—10 კაშეიკად. ასე დღე-

ში ერთ მხრად. მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებელი ხელფასს თითქმის აღარაფერს იღებს და თან ხალხის შეიძველობითი ძალა (покупательная сила) ძლიერ დაცემულია, — ასეთ იათ-ფასიან თავსახურებს ხალხი ერთიანად ეთხოვება: რადაც მოდათ და უკვლახი რუსულ ქუდეებს და ფაბრიკებში დამზადებულ „შლიანებს“ უიღუფლობენ. თვით სოფლის გლეხობაც დაადგა ამ უკანასკნელ ხანში ასეთ გზას...

შეგვხვდა აგრეთვე ჭილობის მქსოველიც. მაგრამ უკვლახი — როგორც ვსთქვიყთ — დრმად მოხუცებული იარაღი. ჩვენ არ შეგვხვედრია მწარმოებელი ხაკლები 50 წლისა. უკვლახე ხშირად 60 წლისაზე მეტი გვხვდებოდა.

ჭილობის მქსოველი იყო მამაკაცი — ნიკო გვარჯალაძე — 78 წლის მოხუცი, რომელსაც მინდვრად, უნაში მიუძაბა სრულებით აღარ შეუძლია. როგორც მოგვხსენებთ, ლახხუთს ახლავს დასავლეთის მხრივ ჭაობიანი ადგილები. ამ ჭაობში ძლიერ ხარობს ჭილობი, საიდანაც მას უხვად ეზიდებიან. როგორც ბ. ნიკომ აგვიხსნა, ერთ საშუალო ჭილობს უნდება დაახლოებით 2 1/2 კონა ჭილობი. ერთ საშუალო ურემზე დაეტივა ასეთი 150 კონა. ჭილობისათვის ხმარობენ უოვლად ზრით მიტოულ სავარცხელს. ეს სავარცხელი წარმოადგენს უსწორ-მასწორად თხელ ფიცრის საჭერს ერთნაირ ზომით დახურულია. ამ ხანგრძობებში გაურდიდა ძაფები, რომელზედაც სწინავე ჭილობს. მარტო ერთს ჭილობისათვის საჭირო ბაწრის დაკრეხას უნდებიან დაახლოებით 1/3 დღეს, თვით ჭილობის მოქსოვას სჭირდება 2/3 დღე. ბაწარს აკეთებენ საშინაო კანაფიდან. ჭილობის ქსოვას განსაკუთრებით განვითარებულია სოფელ ჩიბათში. ეს კულტურული სოფელია და მდებარეობს ლახხუთიდან სამი ვერსის სიშორით დასავლეთის მხრივ. ჩიბათში ჭილობის ქსოვას ფართო ნიადაგი აქვს. ბაზარზე უხვად სადღეს დღესაც, თუმცა საწარმოო ზიარობებში ჯერაც არავითარი გაუმჯობესება არაა შეტანილი. ის გარემოება, რომ ჭილობის წარმოება დღესაც ცოცხლობს და მას ძალ-ღონეს აღეგუნ მოხუცნიცა და ახალგაზრდანიც, აიხსნება იმით, რომ ჯერ-ჯერობით კანატილის-ტურ ქვეყნებს ამ დარგში ვერ უთქვამთ ახალი სიტუვა. ამ სიტუაციით კი ძლიერ სარგებლობენ განსაკუთრებით ჩიბათელები და ლესელები.

საშუალო ჭილობის საბაზრო ფასი უდრის 20 — 25 კაპიკს. სადაც წარმოება საბაზროდაა, ე. ი. მთელა ჯალაბობა მთელ თავის ძალას წარმოების ამ დარგს ანდომებს, — იქ ბევრი-ბევრი მწარმოებელია 20 — 30 კაპიკი მოიგოს დღეში — უოველგვარ ხარჯს გარეჯ. ეს შემოსავალი დიდად სახარბიელოა გლეხთათვის, თუმცა უბრალო უნობის დრის გლეხ-თახსუელს ამავე ადგილებში 100 — 120 კაპ. ადღევენ დღიურ ქირად.

ოჯახებში, სადაც ჭილობის ქსოვას ეწევიან, აგრეთვე კვლავთებს, კოდორს, გიდელს და სხვა, ოჯახში და შეურნეობაში მოსახმარ ნივთებს. ამ ნივთებს წინად ხშირად შეხვდებოდით ბაზარშიც, სადაც ამაებზე დიდი მოთხოვნილება იყო. მაგრამ ამ ბოლო ხანებში

შეკვანახეობამ და სოფლის შეურნეობის უოველმა დარგმა დიდად იცვალა ფერი და მიიღო უფრო გონივრული ხასიათი. გაუმჯობესებული იარაღები და ახალი საძოვლები შეურნეობაში აუცილებელი განვითარების და თან გავრცელებენ ჩვენ ხალხში და ამხსნის მათ გარეთა ძველი უბრალო და სადა საშუალო იარაღები. დღეს იშვიათად და ძველად შეხვდებით წინანდელ საწარმოო საშუალებათ ბაზარზე. სხარველოდ ამერიკულ ვაზის მანქანები, ჩალის საჭრელი, საღეწი, სახნავი და სხ. გაუმჯობესებული იარაღები თან და თან შეტად გამოაქვთ ბაზარზე, რაცა სოფლის ცხოვრების ახალ ზიარობებსა ქმნის და ახვითარებს.

უკვლახე უფრო გავრცელებულია სოფელ ლახხუთში შალის წინდების ქსოვა. იშვიათად შეხვდებით ზამთარში ოჯახს, სადაც დედაკაცი წინდას არა ქსოვდეს. უმთავრესად საშინაოდ. ამ შემთხვევაში შრომის ხელფასი არაა მხედველობაში მიღებული. გამძლეობა და სიბობა, რაცა შინაურულად მოქსოვილ წინდების თვისებაა, ერთიანად ამართლებენ მწარმოებლის ინტერესებს. მაგრამ მოლოზნები და მოხუცი ქალები წინდებს საბაზროდაც ქსოვენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მწარმოებელს ხელფასი აინტერესებს, რაცა ისევე უმნიშვნელო და მცირეა, როგორც სხვა წარმოების დარგებში. როგორც მწარმოებელმა აგვიხსნა საშუალო წინდაზე იხარჯება დაახლოებით 2 1/2 კვერცხი მატული, კვერცხი მატული საუკეთესო ხარისხისა დარს ექვსი კაპიკი (ასეთ მატულიდან ქსოვენ წინდებს). დანახები დამუშავება თითო წვეტილ წინდას თხოვლობს: 1) მატულის დაკევა — 2 სათს, 2) მატულის დანება — 3 სათს, 3) აჩხვა — 2 სათს, 4) ქსოვა — 8 სათს და 5) თელა — 1 სათს. ბაზარზე ასეთი წინდები ივიდება ჩვეულებრივ ზიარობებში 25 კაპიკად. აქედან სამი მხური მატულს უნდება, ხალა ორი მხური რჩება მწარმოებელს ხელფასად ოცი საათის ჯათაში. უკვლახათვის, აშკარაა, რომ ასეთი მცირე ხელფასი ცხოვრებიდან გარიუულ მოხუცების ძალასაც ვერ დააკმაყოფილებს; ახალგაზრდებზე ხომ სულანს ვიტყვი.

მაგრამ წინდების საქმეშიაც ახალი გემო და მოდა შემოდის ხალხში. შალის წინდები ძლიერ მოუხეშავნი არიან. დღევანდელი ჩვენი მომხმარებელი კი ნაზი არსებობა, მას საამო ნივთი, მხატვ საკახი აინტერესებს. ამიტომაც, რომ სოფლის ბაზარზე წინდებიც აგრე ნაზი და სუფთა გამოაქვთ, მანქანებით დამზადებული. მანქანების საშუალებით უმეტესად ბაშბისკან აკეთებენ. მოგვხსენებთ, რომ ბაშბიდან და აბრეშუმიდან. ძლიერ სუბუჭი და სუფთა წინდები მზადდება. და რადგანაც ასეთ საქანელზე მოთხოვნილება თან და თან გაიზარდა ჩვენს ხალხში, ჩვენ ვხედავთ რომ მწარმოებელი ცდილობენ აზარაში გაუწიონ ხალხის მოთხოვნილებას; ეგებებიან შემოსავალ — სარგებლის ახალ წყაროს და იძენენ საამისო მანქანებს. მათაიებს გარდა, სადაც მანქანებით დამზადებული წინდებია, სოფლად ერთი საკანგებო სახელოსნოა, თუ გინდათ ფაბრიკა დავარქვათ, სადაც ერთი ასეთი წინდების საქსოვი მანქანა

მუშაობს. მანქანის ღირებულება უდრის 120 მანეთს. ამჟამად, რომ აქ მანქანის მრეწველობის საზღვარი გადალახულია და წარმოებას მანუფაქტურული ხასიათი მიუღია. ამ მანქანისათვის საჭირო ბამბის ძაფები სხვა და სხვა ფერადებისა, მანქანებითა და მარტიანთა უიდელოდ. ჩვენ მიერ დასახელებულ „ფაბრიკა“-ში ბამბის ძაფს იკვებენ რუსეთიდან, ქალაქ რიგადან, სახელდობრ „Рижское товарищество бумаго-пря-дильной и лено-ткацкой мануфактуры въ Ри-гѣ“. მანქანაზე დაქირავებული ქალი მუშაობს. ამ მწარმო-ებელის ჩვენებით თითო წუთად წინდას სჭირდება სა-შუალოდ 1 1/8 კვერცხი ბამბის ძაფი. ღირებულება საწინდელ ძაფისა უდრის 18 კაპეკს. და მანქანაზე ხორ-მადურ მარბებში და საშუალო ენერჯიით მოქსოვს დღე-ში 8 წუთად წინდას. ბაზარში კი—და ეს ნაწარმები უმთავრესად საბაზრად იქმნება,—მანქანით დაშვებული წინდები საშუალოდ იედება 35 კაპ. ამხიარად ჩვენ ვხე-დავთ, რომ მწარმოებელი მანქანის საშუალებით დღეში იედებს წმინდა შემოსავლს (35—18) X 8 კ. ა. 1 მ. 36 კაპ.

როგორც ხედავთ, მანქანა დიად სახეობა, უაფიდა მწარმოებელისათვის და ის თითქმის თხუთმეტჯერ მეტ შემოსავლს იძლევა დღეში ვინც სხვა იარაღებით მუშა-ობს. და მერე საქონელი მანქანით გაცალებით უფრო სუფთა და ნაზი კეთდება, ვიდრე ხელით. ამიტომ მან-ქანის ნაწარმებს თან და თან მეტად ეწაფება ჩვენს სო-ფლის ხალხი.

თევდ. ლლონტი.

(შემდეგი იქნება)

ჰ ო მ რ უ ლ ი

მე-XVI საუკუნის ბოლოს და XVII-ის დასაწყისში ინგლისი ისეთივე სასტიკ პოლიტიკას აწარ-მოებდა ირლანდიაში, როგორც ამავე ხანაში სპარ-სელები, მაგ., ჩვენში, როგორც ოსმალები ბალკა-ნებზე და სხ. ეს ერთგვარი ზოოლოგიური „სოლიდა-რობა“ იყო იმდროინდელ მძლავრ სახელმწიფოე-ბისა.

როცა კითხულობ მაშინდელ „ისტორიებს“ ინგლისისას, ან თუნდა სპარსეთისას — პირდაპირ გა-ოცდებით იმ მეთოდების მსგავსებით, რომლითაც დიდი სახელმწიფოანი ანადგურებდნენ პატარებს.

ზოგიერთი ამონაწერები, სახელები რომ შე-იცვალოს მარტო, ერთგვარად გამოდგებიან სპარ-სეთისათვის, ინგლისისათვის და სხ. სახელმწიფო-თათვისაც. „ელისაბედმა გაგზავნა სერ პიტერ კა-რუ, რომელმაც ამოჟლიტა ერთიანად ირლანდიაში მთელი სოფლები, უსუსურ ბავშვებიანად... ინგლი-სის მთავრობამ გაგზავნა ლენერალი სიდნეი, რომ-

მელმაც ამოსწვა ყველა სოფელი ტიპერარისა, ვა-ტერფორდისა და ლიმერკისა, ააფეთქა მთელი მთელი სახლები და ამოსწვიტა ან ჩამოაღრჩო მცხოვრებ-ნი... აი როგორ დაასახლეს ინგლისელები ჩვენს კუნტში: მთებში გახიზნული მკვიდრნი დაიბარეს 1577 წ. და აღუთქვეს „პატიება“, როცა ისინი მოვიდნენ რიცხვით 400 სულამდე, შემოერთებენ ჯარის კაცნი და ამოჟლიტეს უწყალოდ“.

ვისაც გადაუკითხავს შაჰაბაზ დიდის ისტორია მაინც, გაჰკვირდება, თუ როგორ სავსებით სრულ-დებოდა ესევე პროგრამა აქ, საქართველოში, რო-გორ იწვოდა და იჟლიტებოდა კახეთის პროვინციები როგორ იყრებოდა ხალხი და ინგროდა მათი სახლები; მოაგონდება მკითხველს ისიც, თუ რო-გორ ვერაგულად ამოსწვიტეს საფურცლებში, და-ბარებული კახელი მეომარები... მთებში გახიზნული და სხ.

პარალელი წვრილმალეზამდის მიდის, თუ რო-გორ იქაც და აქაც ჰყიდნენ ძალით და მოტყუე-ბით ტყვეებს, ქალებს, ბავშვებს, როგორ გადმო-ჰყავდათ ამომწვარ ადგილებზედ თავისი ეროვნების წარმომადგენელი, როგორ აგინებდნენ ჩვეულება-ადათებს, ეკლესიას და სხ.

თითქო მთელს ქვეყანას დაჰქროლიდა გაუ-მადლარი, სისხლის მსმელი ვეშაპი. მაგრამ ჟამნი იცვლებოდნენ და თუმცა ხალხის საყლეტი მანქა-ნები და სურვილები მძლავრ სახელმწიფოთ მეტადა ჰქონდათ განვითარებული და გალიზიანებული ყო-ველთვის—თანდათან უფრო კულტურულ საშუა-ლებათ მიმართავდნენ ხოლმე.

მაგალითად ინგლისმა, საფრანგეთმა ამოჟლი-ტა-ხოცვასთან ერთად შემოიღო მისიონერობაც, ვაქრულ-გკონომიური ამოღრჩობაც, არყით და სას-მელებით მოწამვლაც და გარყვნაც, ზნეობით და-ცემაც იმ ერისა, რომლის გადაყლაპვაც სურდათ (თუმცა უკანასკნელს საშუალებას, უნდა გამოე-ტყდეთ, სპარსელებიც კარგად იცნობდნენ). ასეთმა „კულტურულმა დაპყრობამაც“ ვერ მოსპო ეროვნული შეგნება სხვა და სხვა წვრილ ეროვნებისა და გამუდმებული ბრძოლა, შფოთი, აჯანყებანი ყოველთვის საფრთხეში აგდებდნენ დიდ სახელ-მწიფოთ.

და ჩვენ ვხედავთ რომ თანდათან თუ მიზნები პატარა ეროვნებათა გადაყლაპვისა არ იცვლებიან, საშუალებანი მაინც უფრო კულტურულ და ნაკ-ლებ სასტიკ სახეს იღებენ. გერმანიას ეხლა, მაგ., არა ნაკლებ უნდა პოლონეთის გასრესა და ამოკმა,

ვიდრე ავსტრიასა ან რუსეთსა, მაგრამ ბარბაროსულ საშუალებას ამოჯღეტისას ვერ მიმართავს; საფრანგეთი იქნებ უკეთესის თვალთ არ უყურებს კონგოს, ვიდრე მისი წინაპარი — ველურებს, მაგრამ თუ დიდი სახელმწიფონი კიდევ ბედავენ უღვთო სისასტიკეს განაპირა ქვეყნებში, ანუ სხვა „ფერის“ ხალხთან — ევროპის მიდამოებში და ახლო-მახლო კულტურულ ცენტრებში ამას ველარ ახერხებენ.

ინგლისი, როგორც ყველა ერების მოწინავე პოლიტიკური გამოცდილებით — ეხლა ახალს გზას დაადგა და შეიცვალა არა მარტო საშუალებანი ბრძოლისა პატარა ერებთან, არამედ მიზანიც: იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახელმწიფოს საძლიერე გარეგანი სიდიდით და თოფზარბაზან-გემებით კი არ განიზომება მხოლოდ, არამედ შინაგანი სოლიდარობით სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილებისა. ინგლისის მთავრობის და ხალხის თვალში ნელ-ნელა შეიქრა ის ჯანმრთელი აზროვნება და პოლიტიკა, რომ სხვა და სხვა შემადგენელი ეროვნებანი სახელმწიფოსი თვითონ არიან დაინტერესებული სახელმწიფოს მთლიანობა-სიძლიერით და, მაშასადამე, გამოყოფვა მათთვის სასურველი არ უნდა იყვეს.

როგორც წინა წერილშიაც მოვიხსენიეთ, მაგალითებმა და გამოცდილებამ ეს აზრი განამტკიცა ინგლისის საზოგადოებასა და მთავრობაში. ამიტომ მან ფართოთ გაუღო კარი ავტონომიურ პრინციპს, ე. ი. სახელმწიფოს შემადგენელ სხვა და სხვა ერის პოლიტიკურ სიმწიფეს ნდობა გამოუტახა და ამით იცვლება ძირითადი შეხედულობა, რომ პატარა ერები უნდა მოისპონ და გაითქვიფნენ ბატონ-ერის ფარგლებში. ამითვე იწყობა ის ხანა, როდესაც სახელმწიფო კი არ უნდა ასუსტებდეს, არღვევდეს პატარა ერის სულიერ და ფიზიკურ ძალას არამედ უნდა ხელს უწყობდეს მის აღორძინება-გაღონიერებას. ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესი: რაც უფრო მძლავრია შემადგენელი ნაწილები, მით უფრო ძლიერია თვით სახელმწიფოც — ეს ერთის მხრით და მეორე მხრით, ათვალწუნებული ნაწილი სახელმწიფოსი ყოველთვის თხოულობს დიდ ხარჯს თვით ამ გადაგვარების პოლიტიკისათვის და აჩენს შინაურ მტერს. კეთილმზრუნველობით კი, როგორც კარგი მონადირე, სახელმწიფო ერთი სროლით ორ კურდღელსა ჰკლავს: ამგვრებს თავის შემადგენელ ნაწილებს და თავისუფალი ხდება იმ ხარჯებისაგან, რომელსაც იწვევს

განუწყვეტელი დარაჯად დგომა და თვალყურის დევნება მშვიდობა-დარღვეულ ნაწილში.

უეჭველია, ინგლისის მაგალითი გავლენას იქონიებს სხვა სახელმწიფოებზედაც. XIX საუკუნე — ხანა იყო ბარბაროსულ მეთოდების შეცვლისა „კულტურულ“ დაპყრობის მეთოდებით, მე-XX საუკუნე განამტკიცებს თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ის პრინციპს დიდ და პატარა ეროვნებათა. ამას ნამეტნავად ხელს უწყობს როგორც ადვილი გარდაცემა და გავრცელება იდეებისა და ნაცადისა ერთი სახელმწიფოდან მეორეში, ისე მეტი შეგნება, რომელიც ფებს იკიდებს ხალხის ფართე მასებში, მუშებში, რომელნიც თან-და-თან მეტ გავლენას იძენენ საერთა-შორისო საკითხებში. რასაკვირველია, შორს არის ის დრო, როცა ყველა სახელმწიფო პირნათლად შეეგებება ეროვნებათა ასეთს სურვილებს, მაგრამ თვით სახელმწიფოებრივი ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ამას. მეტადრე აშკარა ხდება ეს ისეთ სახელმწიფოებში, საცა ისტორიას მრავალი ერისათვის მოუყრია ერთად თავი.

სხვათა შორის ასეთია რუსეთიც. რუსეთის მთავრობის პოლიტიკა გადასცდა, მართალია, იმ ბარბაროსულ ხანას, როცა აღმოფხვრით, და მხვილით „შეიძლებოდა“ ეროვნებათა ერთმანეთში ათქვეფა და გარდაქმნა, მაგრამ მეორეხრიოდში „კულტურულ დაპყრობაში“ — მაინც გამოჰყოლია „ვარვარიზმები“ წინა ხანისა, თუ ითქმის ასე. თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, რომ აქ, საქართველოში „კულტურული დაპყრობა“ ისეთ სახეს იღებს ბევრჯელ, რომ ბარბაროსობა აღარც საჭიროა: ნელ-ნელა გვისპობენ კულტურულ ყველა საშუალებას, გვიბამენ ენას სკოლასა და ეკლესიაში, სდევნიან ეროვნულ შეგნების მატარებელთ, გვისახლებენ „თავისუფალ“ და გაყიდულ მიწებზედ შიდა გუბერნიების მცხოვრებთ, როცა ჩვენი გლეხობა მოკლებულია „არსების პურსა“ და სხ. და სხ. (ამაში მეტი წილი დანაშაულისა ჩვენვე გვაწევს კისერზედ, რადგან შეგნებული, სოლიდარული მუშაობით ვერ ვიჩენდით უნარს აღორძინებისას). ეხლა, როგორც ჩვენმა ჟურნალმა აღნიშნა, წყლის შეკვრასაც გვიპირებენ, რომ მულანის ველში დასახლებულ რუსებს „უყვავონ ველ-მინდორი და ამ გვარად ერთგვარი „ოლსტერი“ გააჩინონ კავკასიაში. ეს მთელი სისტემაა, რომელმაც უნდა მიიყვანოს კავკასიის ხალხი უკიდურეს გადაგვარებამდე, რადგან უენო, უკულტურო, უტერიტორიო და ბოლოს უწყლო ხალხს რაღა მოეთხოვება — და თამამად

გვეტყვიან: თქვენ, ეი, სადა ხართ, რანი ხართ, რას ლაპარაკობთ, აი ჩვენ შემოვიტანეთ კულტურა და სიმდიდრე, უყურეთ, ჩვენმა ხალხმა როგორ ააყვავა უდაბნოც კი და თქვენ სამოთხითაც ვერ ისარგებლეთო. და მართალიც იქნებიან ერთის მხრით — ჩვენ ვერასოდეს ვერ ვსარგებლობდით იმით, რაც ჩვენს სიმდიდრეს და კულტურული წინმსვლელობის საფუძველს შეადგენს — ვერც მიწით და ვერც წყლითა. ოღონდ „ერთმორწმუნე“ მთაფრობა ხელის შეწყობის მაგიერ, ყოველგზის ფეხებს გვიბლანდავდა, ეხლა მშრალზე დასმასაც გვიპირობს და მერე ნიშნს მოგვიგებს: აი რამდენად უკულტურონი ხართო.

ეხლა განა რუსეთის ყოველ კუთხეში იგივე არა ხდება: ხალხს თავისუფლად ამოსუნთქვის ნებას არ აძლევენ, კულტურულ წინმსვლელობას აფერხებენ და თან იძახიან: კულტურულად მომზადებულნი არა ხართო. თითქო ეცადა მთაფრობა ამ მომზადებას, ან ნება მაინც მისცა ვისმე მოსამზადებლად და იმედები გაუცრუვდა. მაგრამ გულლიობა და წრფელობა მთაფრობისა არც როდის მოსალოდნელია. ინგლისი კულტურული ქვეყანაა, მაგრამ იქაც კი ჰომბრულიმა პარლამენტალური ბრძოლის, დიდი შეგნების და შინაგან შემოქმედების ძალთა გაღვივებით მიიღო სახე **სახელმწიფოებრივი ინტერესისა** და არა ზევიდან მოწყალებითა.

ამიტომ ვაღვიარებთ ჩვენც იმ პრინციპს, რომ შენება, შეგნება და შემოქმედება — ნამდვილი ბრძოლა გადაგვარების წინააღმდეგი და არა მარტო პარტიული, მყვირალა ლოზუნგები, რომელთაც ეხლა ზედაც აღარავინ უყურებს.

რ. გ.

სოფლის ცხოვრება

(ახაშენის მომხმარებელი საზოგადოება „ნორჩი“)

ჩვენი სოფლის ეკონომიური ცხოვრების დღიური აქრელდა. დაქსაქსულ ძალთა შეერთება და შინაური ცხოვრების გაუმჯობესობის პრაქტიკულად ცხოვრებაში შეტანა ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ.

ძლიერ საყურადღებო ხანას განიცდის ამ ეამად სოფელი: იგი გრძნობს რომ მისი კეთილდღეობა და მომავალი მის ეკონომიურ აღორძინებაზედ

არის დამყარებული და სწორედ ამითი აიხსნება იმ ურიცხვ საზოგადო ორგანიზაციების დაარსება, რომელსაც ამ ბოლო დროს ვხედავთ ჩვენს ქვეყანაში. მით უფრო საყურადღებოა ეს ფაქტი, რომ იმეორ არის შემთხვევითი, ანუ ნაყოფი ზოგიერთას ოცნებისა, არამედ არის სწორე გზა ჩვენი წინმსვლელობისა.

და აი სწორედ ის ხანა, როდესაც ჩვენს სოფლად გაფანტულს ახალგაზრდობას ეკუთვნის გამოიჩინოს მთელი თავისი უნარი, უკეთესობის სურვილი და ისარგებლოს დროთა ბრუნვით და სულთა განწყობილებით, თუ სჯრს შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენს ერთფეროვან ცხოვრებაში... ეხლაა საჭირო სოფლის ინტელიგენციის ფერხულში ჩაბმა; მით უმეტეს რომ თვით მუდამ სკეპტიკურად განწყობილი და იმედ დაკარგული ქართველი გლეხი ერკვევა ბურუსიდგან და თვითცნობიერების გზას ადგია.

აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩვენში ასეთ ფანტასტიურ ზრდას ელირსებოდა წვრილი კრედიტი — რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე, არა მარტო ქონებრივი დახმარებით, არამედ საზოგადოებრივობის მნიშვნელობის შესმენით.

ვინ წარმოიდგენდა რომ რამდენიმე თვის მცირეოდენი შრომის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა იმისთანა ორგანიზაციის შექმნა, როგორც არის მომხმარებელი საზოგადოება იმისთანა დაქვეითებულ სოფლებში. სადაც რიგიანი პირველ-დაწყებითი სკოლაც კი არ არსებობს. ავიღოთ მაგალითად სოფ. ახაშენი (კახეთი) რომელსაც არც წარსული ახსოვს მნიშვნელოვანი და არც აწმყო აქვს სასიქადულო; აქაური ძალად ინტელიგენცია მუდამ ერთმანეთში ქიშპობის და ჭორიკანობის მეტს არას აკეთებდა და საზოგადო საქმის შექმნის მაგიერ პირიქით სიამოვნებით ძირს უთხრიდა მას. ამიტომ ის პატარა წრე, რომელმაც იკისრა სოფლის საკეთილდღეოდ ხმის ამაღლება, ძლიერ ექვობდა, რომ მის შრომას რაიმე სასურველი შედეგი მოჰყოლოდა.

როდესაც ეს პატარა წრე მომხმარებელ საზოგადოების მოწყობას ფიქრობდა, დარწმუნებული იყო რომ დიდი შრომა დასჭირდებოდა და რამდენიმე წლის შემდეგ თუ შეიძლებდა წვერთა საჭირო რიცხვის შეძენას და საქმის რიგიან გზაზედ დაყენებას. მაგრამ მისდა სასიამოვნოდ თვითონ სოფელი შეეშველა მას და პირველ, დამფუძნებელ კრებაზედვე (10 თებერვალს) 51 წევრი აღმოჩნდა

ოთხმოცი პაის მექონი (პაი ღირს 10 მ.) და მაშინ, როდესაც დამფუძნებელთ ვერ გადაწყვიტათ საქონლის ნისიად თუ ნაღდხედ გაცემის მოწესრიგება მათ შეეშველა კრება და ერთხმად უარპყო რამდენიმე ხნის განმავლობაში ნისიად გაცემა.

საზოგადოების წევრნი (51-იდან 40—გლებჯაცია) მთლად შევენახებოდას მისდევენ, ამიტომ კრებამ გადასწყვიტა ოჯახში სახმარ საგნების გარდა საზოგადოებამ იქონიოს აგრეთვე ვაზის (საწამლებელი მასალა და სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი და ამისათვის საჭირო თანხა 1,500 მანეთი ეთხოვოს დეპუტატთა საკრებულოს საადგილ-მამულო კომისიას გრძელ ვადიანი სესხით. კრებამ გაითვალისწინა თუ რა ძნელ პირობებში აყენებს საზოგადოების მუშაობას ქალაქის ბაზრის სიშორე; მით უმეტეს რომ ჯერ-ხნობით მისი მოქმედება დაიწყება ვიწრო ფარგლებში და ცოტას სასყიდლად მუდამ შორს წასვლა და შორით მოტანა გაუძნელებს ჩარჩებთან მეტოქეობას, ამიტომ კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს ქართულ სამეურნეო საზოგადოების კოოპერატიულ სექციი წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა ითავოს თბილისის გუბერნიაში არსებულ კოოპერატიულ ამხანაგობათა მუდმივი საშუამავლო ბიუროს შექმნა თბილისში, რომელსაც შეეძლება მიაწოდოს კოოპ. ამხანაგობათ, როგორც ყოველივე მათთვის საჭირო ცნობა, ისე გაუწიოს მათ შუამავლობა სხვა და სხვა სანოვაგის, ნაწარმოების თუ იარაღის შექმნა-გასაღება-გადაზიდვაში.

ამისთანა საკომისიო ბიურო თუ თავიდგანვე მტკიცე ნიადაგზედ დამყარდა, მომავალში ადვილად გარღიქცევა ჩვენი კუთხის კოოპერატიულ დაწესებულებათა კავშირად და ამგვარად კავშირის შექმნა უფრო ბუნებრივიც იქმნება...

და რაც მალე შეიქმნება ამისთანა კავშირი, მით უკეთესი, — მეტადრე რომ უმეტეს ნაწილად სოფლად კოოპერატიულ დაწესებულებათ მოუშაბდებელი ხალხი უდგა სათავეში, რომელთაც სჭირიათ გამხნელება და დახმარება, თორემ ამ გვარ მოუშაბდებელი იარაღით აშენებულ ამხანაგობათა საქმე ან სათავეშივე გაიყინება ან კაპან-წყვეტით აღონღილგებს თავის სიცოცხლეს.

დიდია მოვალეობა ქართულ-სამეურნეო საზოგადოებისა და უფრო დიდი იქნება მისი სამსახური ჩვენი დაბეჩავებული ერის წინაშე თუ მან მოახერხა ჩვენ დაქსაქსულ ძალთა და სურვილთა შეერთება — განმტკიცება და წინძლოლა.

გ. წინამძღვრიშვილი.

დუშეთი და დუშეთის მაზრა

შვიდასი წელი გასულა მას აქეთ, რაც რომელღაც ველურ მეომარს უთქვამს: „დუ-შეთ“, — შეს-

დექ ცხენოო. ასე ამიხსნეს ქ. დუშეთის სახელწოდების წარმოდგომა. დიახაც შეიძლება, რომ ეს მართალი იყოს. თუ დღესაც საქართველოს სამხედრო გზაზე აქედგან იწყობა ჯოჯობეთური სვეულები, რომლითაც მიდიხარ და მანძილს ვერა ჰლევ, რა იქნებოდა ეს ადგილები ამ შვიდასი წლის წინად!.. ცხადია, აქედგან იწყობოდა ფეხით სიარული და წრიაპების-ბანდულების სამეფო.

დუშეთი იყო პირველი ქალაქი, რომელიც ყველაზე უწინ შეხვდა რუსეთიდგან ნიაღვრად წამოსულ კულტურას (ზოგიერთების აზრით), მაგრამ ვერაფერი მიიღო ამ ქალაქმა; მთელმა კულტურამ, თუ კი შემოდოდა რუსეთიდგან, სამხრეთით გაუქროლა მას, რადგანაც საქართველოს გზა დუშეთს დააშორეს ინტენერებმა. გზა გზობდა, დუშეთი კი სთვლემდა ძველებურად.

ყველაფერ კარგს, თუ თვითონ ვერ მოიგონებ, შეიძლება წაჰბადო, საჭიროა სასიკეთო რამის ჯერ შეგნება, მერე მისი დანერგვა და მოვლა-გაზრდა. როგორც ეტყობა, დუშეთს არამც თუ არა ჰყოლიან ამოდენა საუკუნოების განმავლობაში საკუთარი შემომქმედნი, იქ აღბად, ისეთნიც კი არ მოიპოვებოდნენ, რომელთაც შესძლებიყრ კარგის წაბაძვა და სასარგებლოს გაშინაურება. ვილას არ ესმის ქუჩების მოკირწყვლის, გზების და ხიდების გაკეთების მნიშვნელობა... ჩვენს დროში, არამცთუ ქალაქები, ცოტად თუ ბევრად მოზრდილი სოფლებიც კი ჰკირწყლავენ გზებს, ბოვირებს აკეთებენ, განათებასაც კი შემოიღებენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ნამდვილი ფაქტია, რომ ქ. დუშეთში მხოლოდ წრეულ შეუდგნენ ქუჩების მოკირწყვლას, სამი ქუჩა მოათავეს. სიცივეებმა უსწრეს და ამიტომ გაზაფხულამდე გადიდო სხვა ქუჩების და ხიდების შნოში მოყვანა.

ახლანდელი მოთავეებისთანა რომ ყოფილიყვნენ მათი წინა მოადგილენიც დუშეთი წყლის საყვანებით, ბალ-პარკებით სავსე იქნებოდა ეხლა და მივარდნილ, მიყრუებულ პაწია ქალაქის მაგიერ, იგი იქნებოდა მთის ქალაქი, სადაც ზაფხულობით ბევრი მოიყრიდა თავს მთის ზომიერ ჰაერის სასუნთქავად.

ბ. მაზრის უფროსი გუდიევი მაზრასაც დიდს ყურადღებას აქცევს. მისი სურვილია ხალხს მიეშველოს ეკონომიურად გაღონიერებაში. ადგილობრივი მომრიგებელი შუამავალი ბ. ცაგარელი, მაზრის უფროსი და ხარჯის აკრეფის ინსპექტორი ყოველ ზომებს იღებენ ხალხს შეუმცირდეს ხარჯები. მათის შუამდგომლობის და მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობის დახატვის შედეგი იყო, რომ სხვა და სხვა რაზმების ხარჯები 1500 მანათამდე ჩამოიყვანეს, ეს ფული ჰხდება ხუთ საზოგადოებას, რომლებიც შემჩნეულნი არიან ყაჩაღების შენახვაში, დანარჩენნი თავისუფალნი არიან ყოველგვარ ზედმეტ გადასახადებისგან. იმედია, მათი ზრუნვა რა მოაკლდება ხალხს და, თუ ყაჩაღები მოსპობენ

ამ საზოგადოებებში მოქმედებას, ამ ხარჯებიდანაც გაანთავისუფლებენ.—

როგორც დანამდვილებით გავიგე, მეტად დიდს უხერხულობას იწვევს რაზმებში და მამასახლისებად ინგუშ-ჩაჩნების ყოლა. არ ესმით ქართული ენა, არც თუ რუსული იციან იმდენად, რომ ყველაფერი გაიგონ წესიერად და აასრულონ. ასე რომ ვერც მცხოვრებნი, ვერც უფროსები ვერ იყენებენ ამ ხალხს ისე, როგორც საჭიროა და სასარგებლო. ბ. მომრიგებელი შლამავალი და ბ. მაზრის უფროსი, როგორც ეტყობათ, კ რგა გრძნობენ ამას და ამიტომ ბევრს ითხოვენ და ახლებს, უფრო გამოსადეგთ იღებენ.—

ჩვენს მაზრაში არსებობს, ეგრედ წოდებული „ტაქსა“. არ ვიცი ვისი დამტკიცებულია, ვისი შემოღებულია. მაგრამ იგი რომ დიდი უბედურება და ღვთის რისხვას ხალხისთვის ეს ნამდვილად ვიცო. აი რაში მდგომარეობს ეს ტაქსა: მცხოვრებნი მოვალენი არიან მოსიარულე რაზმებს სანოვაგე და საკვები მისცენ შემდეგ ფასებში: 1 ფუთ. თივა 10 კ. ქერი—50 კ., ქათამი—25; კვერცხი შაურად სამი; ხორცი გირვანქა 10 კ. და სხვა. ამისათვის სოფელს ჰყავს ამორჩეული კაცები, რომელნიც ამ რაზმებზე უარესნი ღვთის რისხვანი არიან. არის დღე მუდამ ქვრივ-ობრის და სოფლის ღარიბ-ღატაკების რბევა-წიოკობა. შინ ბაღლები სიმშლით უწივიან, საქონელი გაძვალტყავებული ცარიელი ბზეზე უღვრძიათ, გზირები კი კვერცხს, ქათამს, პურს, ქერს, თივას სთხოვენ. წარმოიდგინეთ ლოგინსაც კი ართმევენ რაზმების მოსასვენებლად...

გინდაც შოვნა იყოს, ბატონებო, ვინ მოგცემთ თივას 10 კ., ქერს 50 კ. როდესაც ფუთი თივა 60 კ. ფასობს, ქერი 1 მან. და 1 მ. 20 კაპეიკიც. ეს არის დიდი ახალი უბედურება დუშეთის მაზრის გამანადგურებელი. ხმა არის თებერვლის პირველიდგან ეს „ეგზეკუციის“ ახალი სახეც მოისპობაო და ამ მოსიარულე რაზმებისთვის თავისუფალი მორიგება იქნება საჭიროყო. უკეთესი კი იქნება ეს რაზმები სრულებით მოისპოს, რადგანაც მაზრაში ავაზაკების ჩამი-ჩუმიც კი არ ისმის.

მგზავრი ლ.

ჩვენს ფოსტა

დიდი ხანია „ჩვენს ფოსტა“ დაგვეხუჭა, რადგან... გავაფრთხეთ თიანჭმის ახალგაზრდა „მწერები“, მაგრამ უკანასკნელ დროს ისევ დაგვესია კადასხვიო. ვუდარ უძლებს ჩვენი „კალათა“ და ამიტომ განვაზრახეთ დროგამომშვებით პირი ჩუქოკლდინავეთ უკითხველს ორიგინალურის ნაწარმებით.

აი, მაგალითად, რა მივიღეთ ამ დღეებში:

გ ზ ა მ შ ვ ი ლ ო ბ ი ს ა

უცხო სამყაროს მოვლენილს თავს გეტრფიადობადი ჩემო „საუნჯევ“. ზენაარი სულით და გულუფრადობადი მწარე ღუმელს და ვეძლეოდი მშვენიერებას... ტურფა ყვავილს, რომელიც შენს ბილილო მკერდზე ინაზებოდა..

იდუმალემა, რომელიც შენს გულის ფანტქალში გამოსტყვიოდა და მალულ ტრფობის სარბიელს განზორებოდა. გულს ფიანდახათ ვივლინებდი და გთვლიდი ისე, როგორც ადამიანის ზე-მშთაგონი აღმა ფრენა... სიყვარული, რომელიც შენს გულის ფილაქანზე იყო ასხმული! უტყვი... უთქმელი... და მხოლოდ სიმბოლო ნეტარებისა, კვლავ სულში ვისახავდი და ლტოლვილებით შენს მდუმარე სახეს და სმენას ვასმენდი, ვასმენდი მითრო გულით მწადდა შენს გვერდით მქონოდა გათზრილი ყრუ და ცივი სამარე... მიყვარდი ვით ნეტარება — ნეტარებისთვის და გთვლიდი ზე-აღმაფრენ ნეტარებად, მაგრამ... მაგრამ... შენ კი... სულ სხვად გარდიქმენ: გული აგტრუვდა, სული აგტკივდა და იბრუნე პირი იქეთ, სითაც ჯერ არ გაგვხვდა და ფიქრათაც არ გაველო შენს საბამო აგებულობაში. და თურგნე სული, ჩემს შორის? სიყვარულით გაქლენთილი... დაჰმე გული, რომელშიაც ჩემი უტყვი სიყვარული ობლად ფესვებს იდგამდა... დანუსნე და დაჰფლე ის ოცნება, რომლისგან მე ნეტარების შარბათს ვფლოდი... მასზე და დათურგნე მთელი ჩემი ტრფობის სიტყვები, რომელიც შენს მჯადოსნურ სიტყვების საპასუხოდ იყო წარმოთქმული.

მაგრამ შენ მით ჩემს სულს და გულს ვერ შაიწირავ... ვერ გადაქმნი ისე რო მე შენსგან თოფ ნაკრავი, განგმირული ვიყო. მე კი კვლავ გზას დაგილოცავ და უტკბეს სახით მოვლენილს—კვლავ ტკბობით გაგაცილებ ჩემს გულის სალაროდან შენს ნეტარების გზამდე... ტყვილა ნუ ივლებ გულში რომ მე შენგნით თავ დავიწყებას მივეცე.. ნუ ივლებ ტყვილა გულში... ეს ამაოა... ამაო.

და მე კი გიძღვნი, გიძღვნი მაგრამ.. ოჰ, რა რიგ... რა რიგ... კვლავ გიძღვნი—გიძღვნი: გზა მშვიდობისა ჩემო „საუნჯევ“, გზა მშვიდობისა!

დიდათ პატივცემული გ. გიგლაშვილი.

გვერწმუნეთ, ბ—ნო ვიგლაშვილო, უფრო „დიდათ პატივცემული“ იქნებოდით, რომ ამისთანა „კრიმინალურებისაგან“ გაგვანთავისუფლებდეთ.

ივანისპირელს: „ორ დღეს მყვანდა დედა ჩემი და მესამე დღეს მომიკვდა“.

ყოჩალი დედაკაცი ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა; სხვა ერთ დღესაც ვერ გაუძლებდა თქვენ ურთიმო ბღავილს.

ივ. ტარღელს: ემდურით გაზ. „იმერეთს“ — «ლექსებს მიღწორებს და მარტო ჩონჩხსა ბექდავსო». ოჰ, ეს „იმერლები“, ნანდვილი მცარცველები, კაციჭამიები ყოფილან, ტანისამოსს არ სჯერდებიან, ჩონჩხამდი გტამენ. ჩვენ, „ამერლები“, უფრო გულშემატკივარნი ვართ და ისე ნაზად, თბილად, გაუცარცველად მოვითავსებთ ხოლმე „კალათაში“ თქვენ ლექსებს. გულს ნუ გაიტეხთ.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის



ყოველ დღიურ გაზეთზე

წელიწადი
მეორე
1913

იმერეთი

წელიწადი
მეორე
1913

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 4 აბაზი და ცალკე ნუმრის 1 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ენკენისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებს და სოფლის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ვთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნაქრებსა და სოფლის მასწავლებლებს — ხუთ მანეთად.

სამგლოვარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის — სამ მანეთად.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აკრედიტ სხვა სხვაგვარად უსაყუად ამ მისამართით უნდა გამოგზავნას:

Кутаись, редакция и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Хеладзе.

სხვაგვარად გამოგზავნილ ფულსა და სხვაგვარად რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ბეზ პარტიის პროგრესიული დემოკრატიული ორგანიზაცია

Безпартийно-прогрессивный демократический органъ, обслуживающий интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистовъ.

(Восьмой годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р. 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к., 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к., 1 р. 40 к., 75 к.

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяць.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра).

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговала дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытона, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ



კოოპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866%, დესობინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწახიზიგებულები და შემოქმედლები დაუმეცხვებულა.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.